

3-47.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბავშვო საბუღალტრო საქმე



1928

სახეცვლილება

№ 20



**7 ნოემბერს იხსნება მოწარმე
მაცურებაელთა თეატრი.**


პიონერებო!

მოსწავლენო! გავშებო!

ეს თეატრი თქვენ გაკუთვნისთ.

გახსოვდესთ მუდამ, რომ ის თქვენთვის მეორე სკოლაა

**მიაქციეთ მას ფართო
ყურადღება.**



შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.		გვ.
1. საღამო ოქტომბრის დღესასწაულს	2	8. პიონერები საბჭოების გადარჩევაში	17
2. პატარა ბიჭი ბნელიკადიდან—პ. მაგერი	3	9. ოქტომბრის რევოლ. და ბავშობა—ა. ასტაშევა	19
3. კრეისერი აერორო—კ. ლორთქიფანიძე	6	10. ოქტომბრის დღეებში—ვ. დ-ი	20
4. განსის თავგადასავალი—მ. ზალკა	7	11. არალეგალური სტამბა—შ. ესეზუა	22
5. აქტივისტი გიგ—ი. ხოშტარია	10	12. საკავშირო. პიონერთა შეკრების შესახებ—გ. ა-ძე	23
6. ნიკოს დღიური—დ. ციციშვილი	11	13. გამოწვევებზე	25
7. ლენინი და ოქტომბერი—ა. ს-ვა	16		



კიონეკი

1928

31 ოქტომბერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრს) და განათლების სახალხო კომისარიატის ხელისუფლებას აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი III
№ 20

გაუგარჯოს ოქტომბრის ჩევილუცის

11 ფლის თავს!



ამხ. ლენინი საიდუმლო კარავში.


სალაგი ოქტომბრის დღესასწაულს.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 11 წლის თავის შესრულებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. საბჭოთა ქვეყნის მშრომელი ხალხი და მასთან ერთად მსოფლიო პროლეტარიატი, — როგორც უფროსი თაობა, ისე მშრომელთა ბავშობაც, — განსაკუთრებული გრძნობით ელის ამ დიად დღესასწაულს.

25 ოქტომბერი იშვიათი და მოწინავე კაცობრიობის უდიდესი ზეიმის დღეა. ეს დღე მით უფრო საამაყო და საყვარელია ჩვენი პროლეტარული ბავშებისათვის, პიონერებისათვის და ოქტომბრელებისათვის, რომ ისინი იშვენ ოქტომბრის ქარიშხლიანი რევოლუციით შექმნილ პირობებში, ისინი იზრდებიან ამავე ოქტომბრის ბრძოლისა და გამარჯვების დროის ქვეშ.

წართვან ოქტომბრის მონაპოვარი. ჩვენ ყოველი დღე უნდა ვიხმაროთ, რომ დავიცვათ ეს მონაპოვარი, ვაფაძლიეროთ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, მოვაშადალოთ ხალხი მოულოდნელი ომიანობისათვის. ამ მხრივ დიდი ამოცანები აქვს პიონერ-ორგანიზაციებს. ეს ამოცანებია პიონერთა მიერ აუცილებელი ცოდნის შეძენა სამხედრო მუშაობის დროში, წითელ არმიასთან კავშირის განმტკიცება — სასროლო ტირისა და სამხედრო კუთხეების მოწყობის მეოხებით კოლექტივში, სკოლაში და სხვ. პიონერთა გასამხედროების ამოცანები გადაჭრილ უნდა იქნას ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად.

პიონერის მესამე მოვალეობა არის ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავზე და მის შემდეგ განა-



პიონერები აკეთებენ მავზოლის ლენინის კუთხისათვის

ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ჩატარებას ყველა მშრომელმა ბავშვმა, და პირველ რიგში კი პიონერებმა, უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მის ჩატარებაში.

პირველი — რაც აუცილებელია და მთავარი: თითოეულმა პიონერმა და ოქტომბრელმა უნდა შეიგნოს, ოქტომბრის რევოლუციის წყალობით რა მოიპოვა რუსეთის მშრომელმა ხალხმა. თითოეულმა პიონერმა უნდა იცოდეს, ან უნდა გაეცნოს ამ დიდი ოქტომბრის გადატრიალების მიზეზებს, მუშებისა და ღარიბი გლეხობის თავდადებულ ბრძოლას მდიდრებისა და მემამულეების წინააღმდეგ, უნდა გაერკვეს იმაში, თუ რა მიხწევები აქვს ჩვენს ქვეყანას ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით. ყველა ეს უნდა იცოდეს არა მარტო თვითონ, არამედ უნდა აუხსნას და გააცნოს დაურაზმელ ბავშვებსაც, მშობლებს, ძმებს და ახვანაგებს.

მეორე, რაც აგრეთვე მთავარია, ის, რომ დღეს კაპიტალისტური ქვეყნები იმუქრებიან და ემზადებიან, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს

გრძოს დაუნდობელი მუშაობა წ/კითხვის უკოდინარობის მოსასპობად არა მარტო ბავშვებში, და პირველ რიგში კი პიონერებში, არამედ მოზრდილთა შორისაც. ეს ის მთავარი ანდერძია, რომელიც ლენინმა დავეიტოვა. ამიტომ პიონერებმა უნდა შეამოწმონ თავისი მუშაობა ამ მიმართულებით და შემდეგი ამოცანები დაისახონ წ/კითხვის უკოდინარობასთან საბრძოლველად.

იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრდეს პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობა დღესასწაულის ჩატარებაში, აუცილებლად საჭიროა აქედანავე შევუდგეთ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას. ეს უნდა გამოიხატოს პიონერ-კლუბების, სკოლების, საბავშო სახლების, ქონ-სამკითხველოების მორთვა-გალამაზებაში (კუთხეების გადახალისება, პლაკატებისა და ლოზუნგების გაკვრა, ოქმებისა და დიაგრამების შედგენა). ამასთან ერთად საჭიროა საუბრების ჩატარება კოლექტივებში ოქტომბრის რევოლუციის და მისი გამარჯვების და მნიშვნელობის შესახებ.

ბატარა ბიჭი ბებრისპირიდან

მ ო თ ხ რ ო ბ ა

დიდი ხანია მზის ოქროს სხივებით არ აკიაფებულა კრემლი, მოსკოვის სამრეკლოები. შემოდგომის წვიმა გულსაკლავად მოსთქვამდა ქუჩებში და ხმაურით ჩამოდიოდა წყალსაშვებ მილებიდან. ვასოს უკვე შვიდი წელი უსრულოდებოდა. გამხდარი და შავი, იგი მთელ ეზოს ამხიარულებდა თავისი სიანციბო და სიცილით.

ვასო ცხოვრობდა ერთი უზარმაზარი სახლის სარდაფში. მამამისი დიდ სასახლეებს აშენებდა, მაგრამ ამ სასახლეებში მდიდრები ცხოვრობდნენ, თვითონ კი იძულებული იყო ნესტიან სარდაფში ეცხოვრა.

ქალაქში არ იშოვებოდა საკმაო პური. ხალხი ჩამომხმარი და გაბოროტებული დადიოდა. ვასოს ორი ღლეა პური თვალით არ ენახა, მაგრამ ის მაინც მხნედ იყო.

ეზოში კოკისპირული წვიმა მოდიოდა. ბავშვს სახეში სცემდა წვიმის შხეფები, ის კი წყლით სავსე სანაგვე ორმოში ქალაქის ხოლმადებს უშვებდა. ღელა იგინებოდა, მაგრამ ვასოს უნდოდა გაეჯირითებია „ცხენით“ ეზოში. წინათ, როცა მეფე იყო, ვასო გარბოდა ხოლმე საგუშავო ჯიხურისკენ, რომ გაეხელებია გოროდოვოი, ენა გამოეყო მისთვის და შემდეგ ისევ უკანვე მოეკურცხლა. ვასოს ჰყავდა ერთი მეგობარი, მღებავის შვილი მიშა. მიშას მამა უკვე ორი წელიწადია ომობდა ფრონტზე, მაგრამ მისგან არავითარი ცნობა არ მოდიოდა... მიშა, მისი ღელა და პატარა ძმები ბინიდან გაყარა სახლის პატრონმა ოთახის ქირის გადაუხდელობის გამო. ვასო მოწყენილი იყო უმიშოდ. იგი გარბოდა ბაზარზე, სადაც მიშა მოწყალებას თხოულობდა და სძინავდა ყუთში, ხიდის მახლობლად.

ვასოს ძლიერ შიოდა, ნესტოები ებერებოდა, პირში ნერწყვი მოსდიოდა და მუტკელი შეფერხობდა. ვასო ხედავდა, რომ ვაჭარი კალაჩოვის ივანეზე ერბო-კვერცხი იწვებოდა.

ბავშვს დაავიწყდა ქალაქის ხოლმადები, მოუნდა საქმელი და გაეჭანა სარდაფისკენ, სადაც ობის სუნი იდგა. ჩვეულებრივად ვასო, როგორც კი საყვირის ხმას გაიგონებდა, მობოდა მამის შესახვედრად, ეხლა კი შიმშილმა გადაავიწყა.

მალე მოვიდა გაფითრებული, ქლექიანი მამა და უგუნებოდ შეჰყარა მაგიდის ქვეშ საღურგლო იარაღები.

ოთახში შემოიქრა გამხდარი, გაბოროტებული და წვიმისაგან დასველებული ღელა და მრისხანედ დახურა კარი.

— ღმერთო ჩემო!... ღმერთო, გათენებიდან ღლის 4 საათამდე ვიდექი და მაინც ხელცარიელი დაებრუნდი... პური არაა...— აწუწუნდა, ატირდა ის...

— კმარა ღრიალი, ცრემლებით მწუხარებას ვერაფერს უშველი, — ამშვიდებდა მამა და აღელვებული ბოლთასა სცემდა.

— ივანე, მე გადავწყვიტე ნათლიდელასთან ერთად წავიდე ღონის მხარეში პურისათვის, იქნებ ერთი ტომარა ფქვილი ჩამოვიტანო... შიმშილით ხომ ვერ დავიხოცებით?

— კარგი, წადი, ჩემო ცოლო, — უთხრა ვასოს მამამ. — შეიძლება მართლაც ჩამოიტანო ცოტაოდენი.

ამ ღროს ვასომ შეადგინა გეგმა, გაიპარა სარდაფიდან და ჩუმად ავიდა მეორე სართულზე, სადაც ერბო-კვერცხი იწვოდა. აი, მიუახლოვდა კიდევც... სუნი ეცა... მოიხედა — არაფინა! თუმცა ტაფამწვარი ხელს სწვავდა ვასოს, მაგრამ იგი ამას ყურადღებას არ აქცევდა და ხარბად ჰყლაპავდა. როცა მთლად შესანსლა და უნდა გაქცეულიყო, ამ ღროს მას მოხვდა ვაჭარი კალაჩოვის უზარმაზარი ბანჯგვლიანი მუშტი... ცხვირიდან სისხლი წასკდა და ტაფაზე ერბოსთან ერთად აღუღდა. ვასო აღრიაოდა და როცა ვაჭარმა კვლავ აღმართა მუშტი, ვასო დაეცა, ვაჭარმა თავი ვეღარ შეიკავა და ისიც გაიშხლართა... ვასო, გასისხლიანებული ცხვირით, ბურთივით მი-

* *
* *
* *ქართული
ბიბლიოთეკა

პიონერები ბიბლიოთეკაში

გორავდა კიბეებზე. მხოლოდ საღამოჟამს დაიბანა ვასომ პირი დაგუბებული წვიმის წყლით და დაბრუნდა შინ. დედა სამგზავროდ ემზადებოდა, ღამის მატარებელს უნდა გაჰყოლოდა. გამოთხოვებისას დედა სტიროდა, ვასოს კი უკვირდა, რა ატირებსო:

— პურის საშოვრად მიდის და ღრიალებს, უნდა უხაროდეს, ის კი წუწუნებს!— ფიქრობდა ვასო. მამამ გაისტუმრა დედა მატარებლით და თვითონ საიდუმლო კრებაზე წავიდა. ვასო ამ დროს სწერდა ნაწვიმარ ფანჯრის მინაზე და ფიქრობდა: რატომ ცხოვრობს ვაჟარი კალაჩოვი კარგად და ჩვენ კი ვწიმილობთ. აკი დედა ამბობს, რომ ღმერთი არისო, რატომ ეს გძელწვერა ბებერი ისე არ გაარიგებს საქმეს, რომ ყველა მაძლარი იყოს?!.. ავიღოთ, მაგალითად, მიშა... საბრალო ბიჭს ღობის ძირში სძინავს, ვაჟარს კი თავისი ცოლით ხუთი ოთახი აქვს?!

ამ ღამით ვასოს მამა ძლიერ გვიან დაბრუნდა შინ. ის შემფოთებული იყო. ქუჩაში გაისმოდა ხშირი სროლა... ტყვიამფრქვევი კაკანობდა...

ვასო შიშისა და სიცივისაგან დაგლეჯილ საბანში ეხვეოდა; როცა მამა მოვიდა, მან თავისი ფიქრები გაუხიარა მას. მამამ შვილს ცხვირზე უჩქმიტა და უთხრა:

— ჩვენ შევეცდებით, ვასო, რომ ყველა მაძლარი იყოს, და მიშას არ ეძინოს ღობის ძირში.

ვასო სარდაფიდან ხედავდა, როგორ იფარებოდა თოვლით ფილაქანი. ისმოდა ზარბაზნის გრილი და თოფის სროლა. მან გაიგონა, რომ თოფიანმა კაცმა, რომელიც გარბოდა, გააჩერა გამვლელი და უთხრა:

— გაიგე, პიტერში ბოლშევიკებმა კერენსკის კუდით ქვა ასროლინეს, და ის თავ-ქუდმოგლეჯილი გაიქცა... მოსკოვშიაც უნდა გავუსწორდეთ მათო.

მაღე კარებში გამოჩნდა მამა თოვით ხელში. მან აკოცა ვასოს, უბრძანა სახლიდან არ გასულიყო და ჩაკეტა შვილი ოთახში. მიმავალმა ფანჯრიდან დაუძახა: „სახლიდან ფეხი არ მოიცივალო, სანამ დაგბრუნდებოდე; მივდივარ ბურჟუების დასამარცხებლად, რომ ჩვენ პური გვექნეს და მიშას ოთახი“.

დიდხანს ფიქრობდა ვასო იმაზე, რაც გაიგონა. სახლში ვერ ისვენებდა. სურდა გაქცეულიყო იქ, სადაც მამა იყო, რომ მას მოხმარებოდა. მან მოსწია კარები, მაგრამ ვერ გააღო. მაშინ ვასომ გამოალო ფანჯარა და გადაძვრა ეზოში. ფრთხილად აცოცდა ალყაფის კარებზე და გასწია მთვარის შუქით განათებული ქუჩისაკენ...

ბევრი სახლში დამალულიყო. მხოლოდ თოფებით შეიარაღებული მუშები დარბოდნენ. ბარიკადას, სადაც ვასოს მამა და ათიოდე მუშა იბრძოდა, ორი მხრიდან უშენდენ ტყვიებს. კადეტები და იუნკრები მესამე სართულიდან ისროდნენ ტყვიამფრქვევებს.

მამა ვასოს პირველად გაუწყრა, მაგრამ შემდეგ იგი სასარგებლო აღმოჩნდა: ვასო წითელგვარდიელებს აწოდებდა ვაზნებს. მუცელზე ხოხვით მივიდა წყალსადენთან და მოწყურებულ მუშებს მიუტანა ღოჭით წყალი.

სილით გატენილი ტომრებისა და სკოლის მერხებისაგან აშენებული ბარიკადა ცუდად იცავდა წითელგვარდიელებს ტყვიამფრქვევის ცეცხლისაგან, მაგრამ ამ პოზიციას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: წითელგვარდიელები იცავდნენ არსენალს, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ მტრებს...

ვასო ხედავდა, როგორ კვდებოდნენ დაჭრილები და კინალამ ატირდა, მაგრამ თავი შეიკავა.

მტერი გააფთრებით უტევდა. დაჭრილები ერთიმეორეზე ეცემოდნენ ქვებზე. საჭირო იყო გაეგო შტაბს, რომ საქმე ცუდადაა. თუ დამხმარე ძალას არ მიაშველებდა, არსენალს ბურჟუაზია ჩაიგდებდა ხელში.

კადეტები პროექტორით ეძებდნენ ბარიკადას და უშენდენ მას ტყვიებს. საჭირო იყო შეტყობინება, წინააღმდეგ შემთხვევაში გათენებისას ყველას ამოსწავრადენ.



მამამ აკოცა შვილს შუბლში, თავზე ხელი მოუსვა და დაარიგა, როგორ მოენახა გზა. წითელგვარდიელებმა კვლავ ასტეხეს სროლა, რომ ვასო მტრის შეუმჩნევლად გასულიყო სამშვიდობოზე. ვასოს მიწაზე ხოხვით ტანსაცმელი შემოეხა და ტყავი გადასძვრა იდაყვებზე, მაგრამ ის მაინც ფრთხილად მიიპარებოდა ლობის გასწვრივ, რომ პროექტორს არ მოენახა.

ცხვირი თოვლით ევსებოდა. ვარსკვლავები კიაფობდნენ ცის ლურჯ ტბაში...

ვასომ მშვიდობიანად მიიღწია იმ ქუჩას, სადაც შტაბი იყო მოთავსებული. შტაბის უფროსმა, რომელსაც მტრედისფერი მაზარა ეცვა, ვასოს მისცა თეთრი ბუბლიკები, მადლობა გადაუხადა ცნობის მითანისათვის და უთხრა, რომ წითელგვარდიელებს უკან არ დაეხიათ, ვინაიდან ერთი საათის შემდეგ მათ მაშველი ძალა მიუვიდოდა...

ვასო გარბოდა უკან, ბარიკადისაკენ, რომ გაეხარებია მამა და წითელგვარდიელები, შეექცეოდა

ბუბლიკებს და ფიქრობდა, რომ მალე ყველას ექნებოდა პური და მღებავის შვილს მიშას—კარგი ოთახი. ამ ფიქრებით გართული ის შეეჩეხა კადეტების ქერაულვაშიან გუშავს.

—სად იყავი, ლეკოა?!

—ბიძია, მე ბუბლიკებისათვის... მე ბოლშევიკებთან არ ვყოფილვარ.... დაბნეულად უბასუხა ვასომ.

მთვარის ვერცხლისფერ შუქზე აელვარდა გუშავის ხმალი, და ვასო გაჩეხილი თავით ფილაქანზე დაეცა.

ერთი საათის შემდეგ გუშავი მოჰკლა წითელგვარდიელების რაზმმა. მამა მოუთმენლად ელოდა ვასოს ბარიკადაზე, შემდეგ ოდნავ დამშვიდდა, როცა იფიქრა, რომ მისი შვილი შეიძლება შინ წავიდა დასაძინებლად.

როცა ინათა, სროლა შესწყდა. მშვიერი შავი ყორანი თვალებს უკორტნიდა ბავშვს, რომელმაც გმირულად გადაარჩინა წითელგვარდიელთა რაზმი...

პ. მაგერი.



ოქტომბრის რევოლუციის ბელემი? ხომ არ გინდ.

ამხ. ვ. ლენინი

ბონაპარტი კოხიჯიანიძე

ქეილხი ახორჩ

ოქტომბრის ყინვით
შეკრული ღამე
გადასწოლია ქალაქს მძინარეს;
ბალტიის ზღვიდან
გადმოვარდნილი
ქარი ტრიალებს,
ქარი მძვინვარებს.

ცარიელია ნევის პროსპექტი,
ცარიელდება ქუჩები სწრაფად.
სახლებიც ისე დადუმებულან,
თითქოსო არცერთს
პატრონი არ ჰყავს.


მხოლოდ ხანდახან
მომავალ გუშავს დამზვლური
პაროლს თუ გადასძახებს;
რაც დაჭიმულ მოლოდინითა
გაქვავებულია
იმათი სახე.

გათოშილ ხელებს ითბობენ ორთქლით;
ხან ერთ ადგილზე ნაბიჯებს სცემენ,
ხან შეახვევენ მახორკას მსხვილად
და სახელოში გააბოლებენ.

უეცრად
ღამის ღუმელი—ზათქმა
ზარბაზნის ხმამა გაახმაურა;
გადმონათა მყუდრო ქუჩებს და
ზამთრის სასახლეს
გადაუარა.

გააზრილა მძინარე სახლებს,
ელემა ბოლო ქუჩების ლოდინს...
კვლავ ზარბაზნის ხმა,
კვლავ ზარბაზნის ხმა,
ეს კრეისერი „ავრორა“ მოდის!
მოდის და მოაქვს საშინელება
განადგურების და ამბოხების;
მოდის და მოჰყავს
სრა-სასახლეთა

გადასაბუგად
შვილნი ქოხების,
რომ აღარ იქნეს,
რაც იყო უწინ,
და გლეხმა მშვიდად ყანები სთესოს;
ცეცხლი შეუნთოს
საბერველს მუშამ
და სიხარულით თვალი გაეცოს.



განსი მამგანსმანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა*)

V

დილას რაღაც გასაოცარმა ხმაურმა გამოაღვიძა განსი, თითქოს ვილაცამ ფანჯარაში დაუკაკუნა. განსი წამოხტა. ძია იოვანი მთელი ღამე შინ არ ყოფილა. დაიწყო ჩაცმა, მაგრამ ამ დროს ოთახში პავლე შემოხტა.

— გესმის, დაიწყო! ეს კილიდანაა, ნავსადგურში ორი სამხედრო გემი სდვას.

— მერე რა?

— ბერლინში უკვე რევოლუცია დაიწყო. ამხანაგები კილიდან უკვე აჯანყდნენ და ღამით ჩამოვიდნენ აქ. დიდი მიტინგი იქნება, მაგრამ ქალაქის კომუნდანტი მათ არ აძლევს ხმელეთზე გადმოსვლის უფლებას, ზარბაზნებით ემუქრება.

— სადაა ეს სროლა?

— საღლატ ქალაქში; მოდი წავიდეთ, ვნახოთ. მამა ფიქრობს, რომ სისხლის ღვრა არ იქნება, დედა სულ სხვა აზრისაა.

— ხომ არ იცი, სადაა ძია იოვანი?

— ის პარტიაში დარაჯობს.

ბავშვები ქუჩაში მირბოდნენ. გასაოცარი სურათი იშლებოდა მათ წინაშე. ხალხი შეშინებული გარბოდა ქალაქის მთავარი ადგილისაკენ, საიდანაც გარკვეულად მოისმოდა სროლის ხმა.

— ისე რა?

— ჰო, მაგრამ ეს მხოლოდ სააღლოდ! — სთქვა ვილაც გამვლელმა.

განს დაეკარგა საღლატ პავლე, ხილზე მას შემოხვდა ქალაქიდან უკან დაბრუნებული ხალხი.

— მეზღვაურებს არ მისცეს გადმოსვლის უფლება... მუშათა დემონსტრაციებს ესროდა ოფიცრების ჯარი... მოკლულია ორმოცდაათამდე კაცი.

— არა, უფრო მეტიც...

— შეიძლება ნაკლებიც. ნამდვილად არავინ იცის.

— ეხლა შესაძლოა გემებიდანაც ისროლონ.

— მეზღვაურების რევოლუცია დაიწყო.

— სად უნდა იყონ, ნეტავ, ახლა ძია იოვანი ან პავლე? — დადიოდა ხალხში და თან ფიქრობდა განსი.

უცებ სულ ახლოს გაისმა რაღაც შიშინი და შემდეგ: ტრახ-ტრახ-ტრახ!

ხალხი აირია, განსიც გაიქცა, მაგრამ გზადაგზა ეძებდა პავლეს და ძია იოვანს. ისინი არსად ჩანდნენ. წაიქცა ვილაც ქალი და ის კინალამ მოსრისეს ადამიანის ფეხებმა.

განსი დაბრუნდა ოთახში, მაგრამ იქ მეზობელი ქალის მეტი ვერავინ ნახა. იგი გაფითრებული შემოხვდა მას კარებში და პავლეს შესახებ ჰკითხა, მერე სთხოვა საძებრად წასულიყო ისევ.

ის იყო განსი უკან ბრუნდებოდა, რომ კარებში პავლე შემოეფეთა. იგი ძლიერ შეშინებული იყო. ბავშვები ოთახში შემოვიდნენ და ჩუმად დასხდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სიჩუმე პავლემ დაარღვია.

— ნეტავ ჩვენები სად იქნებიან ახლა?

— სად უნდა იყონ. ნუ გეშინია, არ დაიკარგებიან, — მიუგო განსმა.

უცებ პავლე წამოდგა ზეზე და განსს განუცხადა: — განს! შენთან ინახება მოწოდებები; ეხლავე უნდა გავანადგუროთ ისინი.

— არაფრის გულისთვის!

— რას ამბობ! ძია იოვანი რომ დააპატიმრონ, მაშინ აქაც მოვლენ გასაჩხრეკად და მერე, იცი, რა მოხდება? შეიძლება კატორღაში გაგზავნონ ამისათვის...

— ვიცი. თვითონ მითხრა — ამისათვის შეიძლება ხუთი წლის ციხე მიიღო, მაგრამ ამ ქალაქებს არაფრის გულისათვის არ დაეწვავ.

— განს, დამიჯერე, ისე მოიქეცი, როგორც მე გირჩევ.

— არ მინდა შენი რჩევა, — უთხრა განსმა და გულმოსული ლოგინზე ჩამოჯდა.

— მაშ, შენ გინდა, რომ პოლიციამ გაიგოს, თუ საიდანაა ეს ქალაქლები? და გაასამართლოს ამისათვის შენი ბიძა? კარგი, მაშ შენ გინდა გამცემი იყო, არა?

— გამცემი, გამცემი? ხომ არ გინდა მოგხედეს კისერში!

*) დასაწყისი იხ. № 19.



— კი, მაგრამ რისთვის არ გინდა დამიჯერო.

— იმისთვის, რომ ძია იოვანს არ დაუბარებია ასე მოქცევა.

ორივენი ჩაფიქრდნენ. მაგრამ შემდეგ პავლემ წარმოსთქვა:

— მაინც სად აპირებ, განს, ამ ქალაქის დაშლას? ასე გინდა მუთაქის ქვეშ გეწყოს?

— არა, — უპასუხა განსმა, — რასაკვირველია, უკეთეს ადგილას დავმალავ.

— ეს კარგია, მაგრამ სად დამალავ, ოთახში?

— არა.

— მაშ სად?

— ამას შენც არ გეტყვი. ეხლა კი მომეცი პატროსანი სიტყვა, რომ არ მითვალთვალებ, თუ სად დავმალავ მათ.

— გაძლევ პატროსან სიტყვას, — უთხრა პავლემ.

— მაშ კარგი, — უპასუხა განსმა, ამოიღო ილიაში ქალაქის და ოთახიდან გავიდა. სწრაფად ჩაირბინა სახლის კიბეები და გავიდა ეზოში.

პავლე ოთახში უცდიდა, და როდესაც უკან დაბრუნდა განსი, აღელვებულმა გაუწოდა მას ხელი და უთხრა:

— კი შეიძლება, თურმე, შენც გენდოს კაცი რაიმეში.

— შენ ის მითხარი, სკოლაში რომ გვკითხონ, თუ რად არ ვიყავით, რა უნდა ვუპასუხოთ?

— პაა... მართლა, უნდა გავიგოთ, რამდენი არ იყო ჩვენსავით და კამპანია შევადგინოთ. მაშინ ვერაფერს გვეტყვის, — უპასუხა პავლემ.

VI

განსი პავლეს ოთახში იყო. ისინი ერთად იყვანდნენ ამოცანებს. დიასახლისმა შემოდგა მაგიდაზე სადილი და სთქვა:

— ისინი კიდევ არ დაბრუნებულან, რაიმე უბედურება არ მომხდარიყოს!

— იქნებ მართლაც დაიჭირეს.

როცა მთლად დაბნელდა, ძია იოვანი დაბრუნდა შინ. ის ძლიერ დაღლილი გამოიყურებოდა.

— მე ხომ არავის ვუკითხავარ?

— არა, ძია.

განსს უნდოდა სანთელი აენთო. იოვანმა შეაჩერა და ჰკითხა:

— განს, ფურცლები სადაა?

— მე მაქვს.

— სად?

— ამ წუთში მოვიტან, — უთხრა განსმა და გაჩეთ გავიდა, მაგრამ კარებში ვიღაც კაცი შემოეფეშა. განსი შეკრთა, მაგრამ მაინც თამამად ჰკითხა:

— თქვენ ვინ გნებავთ!

ძია იოვანიც კარებში გამოჩნდა, გაიცინა სთქვა:

— ოჰ, მარტინ, შემოდი.

განსმა ჩაირბინა კიბეები; გარეთ სოფელი ქაჰკროდა ზღვიდან. სიბნელეში ძლივს მონახა ქაღალდები და ისევ უკან დაბრუნდა.

ოთახში სანთელი უკვე აენთო. მან გადასქაღალდები იოვანს და ცალი თვალით გადახედა სტუმარს; სიხარულისგან კინაღამ დაიყვირა: სტუმარს სწორედ ის კაცი იყო, ერთხელ ყავახანაში ავიტყვიას რომ ეწეოდა.

ძია იოვანი მას რაღაც ამბავს უყვებოდა ისიც ბეჯითად უსმენდა.

— სხვაგვარად არ შეიძლებოდა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ბევრ ჩვენს ამხანაგს დღესაც ვეღუეგნია, რომ სოციალ-დემოკრატებთან კავშირს დაჭერა არ შეიძლება.

— დაჭერილი ბევრია?

— ბევრია, მაგრამ მთავარია ის, რომ ნავსაგურიდან გემები უკვე გავიდა. ახლა დიდი დაჭერები იქნება, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია მაგრად უნდა დაუხვდეს. ჩვენ გვაქვს ავტორიტეტი და შესაძლოა მუშებმა მხარი დაგვიჭირონ.

— მე ეგ არ მწამს; ჩვენ უნდა გამოვიდეთ გასაკუთრებულად.

— ეს, შესაძლოა, სწორია, მაგრამ არც საგნებით სწორი ტაქტიკაა; ამ შემთხვევაში უნდა მივიშვათ თოთ რუსეთის რევოლუციის მაგალითს. პარტია ვაგაიმარჯვებს, თუ მას მხარს არ უჭერს მასა.

— კი, მაგრამ ჩვენ უკვე გავუშვით ნოემბრის დღეები, ეს საუკეთესო მომენტი.

— ეს არაფერია, როზა და კარლო სანამ ცოცხლები არიან, ასეთ მომენტებს ყოველთვის ვიშვებით. მთავარია — ჩამოვაცილოთ მასა სოციალ-დემოკრატებს.

მარტინი ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ოთახში შემოვიდა ფიბიხის ქალი.

— იცით, რა ამბავია? გერმანე დაჭერილია.

— სად? როდის?

— ხომ იცით, გერმანე არჩეული იყო დელეგაციისთვის, რომელიც საპროტესტოდ გაიგზავნა ქალაქსამართველოში; ისინი ყველანი დაუჭერიათ.

— ნუთუ ყველანი დაიჭირეს?

— ყველანი, მაგრამ მათ შორის დაუკავებიან მხოლოდ ოთხი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მარტინმა გადახედა ძია იოვანს, და ორივემ მწარედ გაიცინეს.

მარტინი დაემშვიდობა მათ და წავიდა, თან ფურცლები...

განსი გამოვიდა ოთახიდან და პავლესკენ გაე-
ქანა. ის ოთახში იჯდა და სურათს ხატავდა. განსმა
უამბო მას ყველაფერი, რაც იქ გაიგონა მისი მამის
შესახებ.

პავლემ პირველად გაიკვირა მამის დაქერა, მაგ-
რამ მერე ჩააქნია ხელი და სთქვა:

— საოცარი კაცია ეს მამაჩემი!..

VII

სკოლის დარაჯმა მიაცილა სამასწავლებლო
ოთახში განსი.

— რათ არ იყავი, ყმაწვილო, გუშინ სკო-
ლაში?

განსი ჩაფიქრდა, გადასწყვიტა არაფერი ეპასუხ-
ნა, მაგრამ შემდეგ მტკიცედ უპასუხა:

— ბატონო მასწავლებელო! გუშინ სროლა
იყო და გარეთ გამოსვლა მეშინოდა.

— ტყვილს ნუ ამბობ, მე უფრო სხვა მიზეზი
ვიცი! რა ამბებს უყვებოდით შენ მოწაფეებს?

— არ მახსოვს.

— მაშ წადი, მხოლოდ, იცოდე, ფრთხილად გე-
ჭიროს თავი.

გაკვეთილი უკვე დაიწყო, როცა ის სკოლის
ოთახში შევიდა. მაგრამ უფრო იმის შესახებ ფიქ-
რობდა, თუ ვინ დაასმინა იგი. ეჭვი დიტრინზე მი-
ჰქონდა.

დიტრინი წინა რიგში იჯდა; განსმა, ჩაუარა მას
თუ არა, ზიზღით გადახედა. დიტრინმაც იგრძნო და
თვითონაც ზიზღით უპასუხა.

გაკვეთილის შემდეგ განსის გარშემო თავი მოი-
ყარეს მისმა მომხრე ბავშვებმა; დიტრინმაც შეკრიბა
თავისი მომხრეები და მათ შორის კინკლაობა დაი-
წყო, მაგრამ ვინაიდან სკოლაში აშკარა შეტაკება არ
შეიძლებოდა, შეთანხმდნენ შეხვედროდნენ ერთმანეთს
საჩხუბრად ქალაქის ერთ-ერთ ადგილას.

დიტრინის მომხრეებს შორის თითქმის ყველანი
მდიდრის შვილები იყვნენ, განსის ჯგუფს ისინი „ობ-
ლებს“ უწოდებდნენ დაცინვით, მაგრამ სინამდვილე-
ში ეს ასეც იყო, რადგან მათ შორის ბევრს მამა
ომში მოუკლეს.

VIII

მას შემდეგ, რაც მოხუცი ფიზიხი დააპატიმრეს,
პავლე უფრო სერიოზული გახდა, დადიოდა დედას-
თან სტამბაში და ერთ დღეს კიდევ განაცხადა:

— მე აუცილებლად ჟურნალისტი უნდა გაე-
ხდე. ეს ნამდვილად რევოლუციონური საქმეა, რო-
ცა შეგეძლება დაწერო მოწოდებები და სხვა.

განსი კი სხვა შეხედულების იყო: მას გემშენე-
ბელთა ქარხანაში სურდა მუშაობა.

ბავშვებზე დიდი გავლენა მოახდინა ერთმა გა-
რემოებამ; ერთ დღეს ქუჩებში გაისმა გაზეთე-

ბის გამყიდველების ძახილი: „სპარტაკელების საჯან-
ყება ბერლინში“, შეტაკებებში მოკლულია სპარტა-
კელების ბელადები ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი.
სკოლაში დასვენების დროს პავლემ უთხრა
განსს:

— გაიგონე?

— გავიგონე, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამ-
დვილეს. ერთი კვირის წინაც ასე იძახოდნენ, მაგრამ
ყველაფერი ტყვილი გამოდგა.

— მაგრამ ეხლა კი არა.

განსი ვერ ისვენებდა. გაკვეთილს ყურს ზან-
ტად უგდებდა. ის მხოლოდ ერთს ფიქრობდა: ბერ-
ლინში მოკლულია ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი.
მერე როგორ უყვარდა ისინი ძია იოვანს! „ჩვენი
ნამდვილი ბელადებია“ — ამბობდა. როცა გაკვეთილე-
ბი დამთავრდა, მან ჰკითხა პავლეს.

— იცი, პავლე, ჩვენ დღეს უნდა შევიკრიბოთ.
ერთი სერიოზული საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ
უკვე გუშინ ვიცოდით, რომ კარლო და როზა მოკ-
ლული იყვნენ.

— ვინ მოჰკლა, ისინი ხომ შეტაკებაში დახო-
ცილან.

— არ დაიჯერო, ამას თვალის ასახვევად გაიძახიან
განგებ. ნამდვილად კი საქმე ასეა: ისინი დააპატიმრეს
და მხეცურად დახოცეს საძაგლებმა.

— მეოც, ჩვენ რა უნდა გქნათ!

— აი რა: ღამით სტამბაში დაიბეჭდა პლაკატე-
ბი, სადაც სიმართლე სწერია. ეს პლაკატები უნდა გა-
ვაკრათ ქუჩებში.

სალაძობანს ბავშვები მართლაც შეიკრიბნენ. ძია
იოვანი შინ არ იყო, ამიტომ კრება ოთახში მოაწ-
ყვეს; როცა ყველანი დასხდნენ, პავლემ დაიწყო:

— პირველ ყოვლისა, ამხანაგებო, მოგვეცით
პროლეტარული სიტყვა, რომ რასაც კი აქ გაიგო-
ნებთ, არავის არ ეტყვი.

ბავშვებმა მისცეს სიტყვა.

— ეხლა შევუდგეთ საქმეს; ჩვენ დავალებული
გვაქვს ერთი ამოცანა, რომელსაც ამ წუთში გაგაც-
ნობთ; ვისაც არ შეუძლია მისი შესრულება, საჩქა-
როდ დასტოვებს ოთახს.

— სთქვი, რა ამბავია?

— აი რა: როცა კარგად დაბნელდება, ჩვენ გა-
ვიყოფით ჯგუფებად; ზოგი წავალთ ნავსადგურის-
კენ, ზოგი ქალაქის განაპირა უბნისკენ. უნდა გავაკ-
რათ ქუჩებში ფურცლები, სადაც სწერია ნამდვილი
ამბები, მაგრამ არავინ არ უნდა შეგვენიშნოს.

— ცენტრში არაა საჭირო?

— ცენტრში უფროსები გააკრავენ.

შეთანხმდნენ, რომ ყველანი შეასრულებდნენ.
მოიტანეს ფქვილი და წებოს კეთებას შეუდგნენ. შემ-



დევ ჩაასხეს წებო ჭიქებში და, როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, პავლემ საწოლიდან გადმოაღო ფურცლების მთელი დასტა. ფურცლებზე ეწერა „გერმანიის პროლეტარიატის ბელადი ტყვეობაშია მოკლული“. „ამხანაგებო, მუშებო, ასე მოქმედობენ ჩვენი კლასიური მტრები“.

IX

განსი და პავლე გათენების ხანს დაბრუნდენ შინ და შემდეგ დიდხანს ეძინათ. მაგრამ როცა გამოეღვიძა განსს, ვილას ფეხის ხმა გაიგონა. ეს იყო ძია იოვანი განსი წამოჯდა ლოგინზე და დიდხანს უმზერდა იოვანის გაყვითლებულ და გამხმარ სახეს.

— ძია იოვან, იცი, რომ ჩვენ გავაკარიტ ყველა პლაკატი?

იოვანი შეჩერდა, შემობრუნდა განსისაკენ უთხრა:

— იცი, განს... დღეს კიდევ მოგიხდებათ ლი პლაკატების გაკვრა.

— გავაკრავთ. — უბასუხა თამამად განსმა ყავის სასმელად გავიდა მეორე ოთახში.

(დასასრული შემდეგ)

მატე ზალკა.

ქალის ქიქი.

ხშირად იტყოდა გიგა თავისთვის: ეხ, ნეტავ ვიყო პიონერიო. პირმომცინარსა ბავშოა რიგებში კარგი იქნება, მეც რომ ვერიო. როცა ქუჩებში გაიგონებდა ბარბანის ხმაურს პატარა გიგა, პიონერების ცელქი ცხოვრება რა ალტაცებას, სიხარულს ჰგვრიდა!.. ლალი ბუნების სუფთა ჰაერი ჯერ მის ხუჭუჭ თმებს არ შეხებია, მაშინ, როდესაც მისი ტოლები მინდორ-ველებზე მზეში დარბიან. შეიქნა მისთვის დღე მოსაწყენი თბილსა ოთახში მდიდრის ბავშვებთან... გულამოკენესით მიმართა მშობელს: „დედავ!.. გამიშვი პიონერებთან. აბა, შეხედე, დედა, ჩვენს ვანოს, როგორ სწრაფი და მხიარულია. მას პიონერთა კოლექტივებში დღეს წერა-კითხვაც შეუწყავლია. იქ, კოლექტივში, თურმე, ბავშვები იღებენ წიგნებს სურათებიანს, ზაფხულში მინდვრად დროს ატარებენ, ზამთარში სწავლას უბრუნდებიან. რა კარგი არის, როცა მღერიან თანამედროვე ლამაზ სიმღერებს; შაბათობის დროს ბალ-ვენახებში ეხმარებიან ღარიბსა გლეხებს. მეც მინდა ვიყო ისეთი ბავში და პიონერი, როგორც ვანოა, თორემ ასეთი ყოფა-ცხოვრებით აბა, რა კაცი ჩემგან გამოვა!“ გიგამ მშობელი დაიმორჩილა და სიხარულით ეხლა ცას სწვდებო, თავის მეზობელ ვანოსთან ერთად კრებებზე ხშირად დაიარება,

თავდაპირველად გიგა გაერკვა მისთვის უცნობსა წვრილმან საკითხში, აქ კი, კრებაზე, რაც ითქმებოდა,— სულ უამბობდა მშობლებსა სახლში. და, ჰა!.. ხუთი თვე არც კი გასულა... ის კოლექტივში აქტივისტია. ყოველი საქმის გააკეთებლად პიონერთ შორის უფრო ცქვიტია. გიგას შესძულდა მდიდრის ბავშვები, მათთან ყოფნის დროს ვერ ხალისობდა, როგორც კი გახდა თვით პიონერი, სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებდა. მისი წყალობით ბევრი ტოლები კოლექტივებში ცოდნას იღებენ და თავიანთსა უფროსსა ძმებთან ყოველ უჯრედში კავშირს აბამენ. დღეს ჩვენი გიგა პიონერების კედლის გაზეთის ხელმძღვანელია. გულს არ გაიტებს, თვითონაც დასწერს, თუ მასალები შემოვილია. ყველას აკვირვებს მისი შეკითხვა, არის კრებაზე მოუსვენარი. სურს, რომ გაერკვეს იმ საკითხებში, გაუგებარი მისთვის რაც არი. მან კოლექტივში ლამაზად მორთო ილიჩის კუთხე მრავალ ფერებით, სხვებს ახალისებს; ყვირის ხმამაღლა: „აბა, თუ ვინმე შემედარებით“. აქ, კოლექტივში, გულჩიორებთან მიდის ამგვარად გიგას ცხოვრება; მალე მოელის და უხარია კომკავშირლებთან მას გადარიცხვა. გიგა დღედაღამ წიგნებს კითხულობს, პოლიტ-გამოცდას მედვრად რომ შეხედეს. ამხანავთ შორის უკანასკნელად ჩვენს აქტივისტსა სურს აღარ შერცხვეს.

ილ. ხოშარია

ნიკოს დღიური



მ ო თ ხ რ ო ბ ა

1

— ნიკო! სად იყავი ამდენ ხანს?

— ბაღში ვიმუშავეთ, დედი, აგრონომი ხეხილის მყნობას გვასწავლიდა; იცი, რა მშვენივრად შემიძლია მე ეხლა ყველაფრის დამყნა?

ნიკო ქონში შემოვიდა და გრძელ ტახტზე ჩამოჯდა.

— შეილო, შენ სულ იმ ბაღში მუშაობ და სახლში აღარაფერს აკეთებ. ნუთუ არ იცი, რომ ნახირს მოგვლა უნდა, ღორებს მწყესვა და ამის გამკეთებელი სხვა არავინ არაა?

— არა, დედი, მე უნდა ვისწავლო და როდესაც სწავლას გავათავებ, მერე რაც გინდა ის დამავალე, ყველაფერს გავაკეთებ. მშია, ჩქარა მაჭამე რამე. აი, ხედავ, მე თან წამოვიღე ჩვენ ბაღში მაჟალოებზე დასამყნელად კარგი ჯიშის ვაშლის ტოტები; სწორედ ეხლაა დრო მათი მყნობის, თან უნდა ვეცადო, იქნებ როგორმე გავახარო; თუ გავახარე, მასწავლებელს ვაჩვენებ.

ერთი თეფში მაწონი ნიკომ სწრაფად შესვლიბა, ზედ ნახევარი პური მაღიანად მიატანა.

— დედა, რა ბასრი დანაა!—წამოიძახა ნიკოს პატარა დამ ელომ, როდესაც სანამყენო ტოტებთან მდებარე დანა ხელში აიღო და მით კაი გვარიან მსხვილი ტოტი შუაზე გადასჭრა.

— ნამდვილად ხელს მოიჭრის ეს შეჩვენებული, დანაც გამიფუჭა, მერე რაღა უნდა გავაკეთო ამით? ჩვენი სკოლის მაინც არ იყოს,—და ნიკომ ელოს დანა ხელიდან ისევ გამოსტაცა, სანამყენო ტოტები ფრთხილად აიღო და ბაღისაკენ გაემართა.

— დედა, როგორ გამიგარეულდა ბავში?—წუწუნებდა ეფემია და თან თითისტარს ახლად ჩამორთულ მატყლის ძაფით მუცელს უმრგვალებდა.— ჩვენი აღარაფერი აღარ ესმის, იწყებული მასწავლებ-

ლები ასეთ რაღაც საეშმაკოებს ასწავლიან ხოლმე და მაგ შეჩვენებულიც მთელი დღე ჩვენ ბაღში დახეტიალობს.

მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც ნიკო თავისი საკუთარი ბაღიდან დაბრუნდა.

მაგიდას მიუჯდა. რვეული და კალმისტარი მოიმარჯვა, საწერად მოემზადა.

— აჰანდე! უყურეთ ერთი, შენ გენაცვალეთ, ახლა დაჯდება და დაიწყებს რაღაცების ჯღაბნას. ადექი, ბიჭო, ვასოს ღორების მოდენაში მაინც მიეხმარე მინდვრიდგანა! ცოდვია საწყალი ბავში! აბა, მარტო მან რა გააკეთოს?—შეუტია დედამ.—მოდი მერე, დაჯექი და მთელი ღამე სწერე, თუ გინდა.

რა უნდა ექნა ნიკოს, მომარჯვებული კალმისტარი ძალაუნებურად რვეულთან დასდო, ზანტად წამოდგა ზეზე.

— ჩემ რვეულს მაინც არავინ მიეკაროს. ხომ გახსოვს, დედი, ელომ გუშინწინ ასეთი რვეული რომ დამიხია?

— შენც ადექი და შეინახე,—შეაწყვეტინა დედამ სიტყვა.

ნიკო იძულებული შეიქნა კალმისტარი და რვეული გადაემალა. ყუთში შეინახა, შემდეგ მოქნილი სახრე აიღო ხელში და კარში გავიდა.

2

კაშკაშა მთვარე სოფელს ამაყად დაჰყურებდა. იქ, ქალაქში, მისი სიამაყე ზაჰესმა მოდრიკა და გაანიორ წყლა. მაგრამ ს. ბოგეში მას ისევ ძველი სიამაყე შერჩენია. ნიკომ ზაჰესი გასულ მაისში ინახულა. ექსკუსია მოაწყვეს სოფლის ახალგაზრდობის მასწავლებლებმა და მოწაფეებმა იქ. ჰო და, იქ ნიკომ მთვარე როდესაც დაინახა, იგი გაფითრებული იყო და თავის ძლიერ მეტოქეს ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა. აქ კი მთვარეს თავისი ძველებური სიამაყე ჯერჯერ-

რობით არ დაუკარგავს. ზაჰვისის მძლავრი ელექტრო-
დენი ბოგვამდე ჯერჯერობით არ მოსულა. მოვა
დრო, რომ მთვარე აქაც ისე ატირდება. როგორც ეს
ნიკომ ერთ დროს ავჭალაში ინახულო.

— აცი, შე სამგლევე!— მიადახა ვასომ ერთ დორს,
რომელმაც ყანისაკენ გადაუხვია და თან ზურგზე
შოლტი გადააწნა. ღორმა დაიჭყვირა და ჯოგს შე-
უერთდა.

— ეჰ, ვასო, ვასო, რა ტყვილა ვკარგავთ ჩვენ
დროს! დანებე თავი მაგ ღორების მწყემსობას და
ჩემთან ერთად იარე. რაა, მაინც, ქვეყნის ღორი რომ
აფიბარებია? დაეხარბე? რას გაძლევენ თითო სულის
შენახვაში?

— ექვს შაურს თვეში!

კუდად მოაქეცი: ოთხწლელი გაათავე და მიანებე
სწავლას თავი. დანებე მაგ ღორებს თავი და შემო-
დი ჩვენთან.

— დედა არ იზამს, ორივეს არ მოგვაცდენს.

— კაცო, შენ ჩემი რატომ არ გეყურება? იქ
შესვლა გაცდენას არ ნიშნავს. უკეთეს საქმეს გა-
აკეთებ. გახსოვს თუ არა ის დრო, როდესაც მამა და
დედა ორივენი მეწინააღმდეგებოდნენ და სკოლაში
არ მაგზავნიდნენ? მე ჩემით გაუიბარე. შენც ასე ჰქენი.
როდესაც საბოლოოდ მიხვდებ: ან, რომ გლეხთა ახალ-
გაზრდობის სკოლა ჩვენ ყველაფერს გვასწავლის,
წიგნსაც და შრომასაც, მაშინ მაღლიერნიც გახდებიან.

— ერთი შენც კიდევ! სკოლის ბალი არა, ჩვენ
ჩვენი საკუთარი ადგილები ვერ დავიმუშავებია, შენ



ბიონერები კითხულობენ კედლის გაზეთს

— ძალიან ცოტაა, განა ღირს მაგისტრის გა-
ცდენა?

— მა, რა ვქნა? შენ ესეც კუდად დადიხარ და მეც
კუდად ვიარო?

— ვასო, ბიჭო! მე კუდად არ დავდივარ, მე
ესწავლობ, ჩვენი ბალი ისე უნდა გავალამაზო, გვა-
მშვენნიერო, რომ ერთი წლის შემდეგ შენც კარგად
დაინახავ, რომ ტყვილა არ დავდივარ სკოლაში. დღეს
15 ძირი მაჯალო ვაშლი დავმყენი, ნამყენი ისეთი
ჯიშისაა, რომ მისი თითოეული ვაშლი პატარა გოგრას
მიაგავს. ხომ გინახავს, ჩვენი სკოლის ბაღში რომ
ასხია? სულ ისეთები გაიზრდება.

— ეგ კი კარგია, მაგრამ შენ იქ წიგნს არა სწავ-
ლობ?

— წიგნსაც ვწავლობთ, მაშ! რასაც წიგნში ვსწავ-
ლობთ, იმას ცხოვრებაში ვანხორციელებთ. შენ

კი იქ მუშაობ ყოველდღე. განა ჩვენი მშობლები
ამაზე დათანხმდებიან, რომ მეც სკოლის ბაღში ვი-
მუშაო? არა!

მანძილი სახლამდე კიდევ დიდი დარჩა, ნიკო
თავის ძმას გზაში სულ იმაზე ეჩიჩინებოდა, რომ
მიეტოვებია ღორი და სკოლაში განეგრძო სწავ-
ლა. დაითანხმა, როგორც იყო.

როდესაც ნიკო და ვასო სოფლის ორღობეს
შეყვეს, ყოველი გლეხის ეზოდან თითო ძალი
ღობებზე გადმოდგა და ყვეფით სოფელი დააყრუეს.

— აჰანდე, შე სამგლევე! რა გაღრიალებს—
და ვასომ ერთ ძაღლს თავისი შოლტი გადაუჭირა, ძაღ-
ლი საშინელი წკმუტუნით გაიქცა, შემდეგ მეორე
კუთხიდან შემოუტია ღორების ჯოგს და მათ მფარ-
ველებს.

ვანშობა იქნებოდა, როდესაც მივიდენ. ნიკო ისევ თავის საწერს ჩაუჯდა.

— შენე, შენე ერთი, თუ კაცი ხარ, გოლა! ჯერ შინ არ მოსულა და უმალ ქალაღდს მივარდა. ბიჭო! ჩვენ ვანშობისათვის ვემზადებით და რა დროს წერაა!

— ნუ ჩაიკვებიხარ, ქალო, შენ მაგ ბავშს; თავის ნებაა, რაც უნდა ის გააკეთოს, თუ არ შია, ვანშობი რათ უნდა?

ნავანშობის მოცილობა მხოლოდ საწერად ნიკომ და რვეულის სტრიქონებზე ასე დაიწყო:

„სამშაბათი, 12 სექტემბერი.

დილა წყნარი გათენდა და ღრუბლიანი, ნიავეიკი არსაიდან იძროდა. ის იყო, ვსაუზნობდი, როდესაც სკოლიდან პირველი ზარის ხმა შემომესმა. სკოლაში როცა მივედი, ახალი მასწავლებელი დამხვდა მოსული. მოწაფეთა უმრავლესობა სკოლაში არ გამოცხადდა. რაც ვიყავით, მხოლოდ ისინი წაგვიყვანა აგრონომმა ბაღში. კიდევ ერთხელ გაგვამეორებინა და საფუძვლიანად შეგვასწავლა მცობა. დაგვავალა ჩვენ საოჯახო ნაკვეთებზეც გვეწარმოებინა ასეთი მუშაობა. ამიტომ მე დღეს ჩვენ ბაღში 15 ძირი მათელო დამეყენი. იქ დავაკვირდი აგრეთვე ჩემ მიერ გასწავლულ გოგრას. არაჩვეულებრივი სიდიდისაა. ჩემი მშობლები ვერც კი ამჩნევენ, რომ ეს გოგრები ასეთი დიდნი იმიტომ გაიზარდენ, რომ ჩემი დათესილია და მოვლილი.

დღეს პიონერ-კოლექტივში მორიგი მეცადინეობა გვქონდა. დაიბადა აზრი: პიონერ-კოლექტივის გასაძლიერებლად ჩვენი სოფლის კლუბში ჩაგვეტარებია საბავშო საღამო-წარმოდგენა. მაგრამ შეუძლებელი ხდება ამ საქმის მოგვარება: კოლექტივში მხოლოდ ორი ქალია ჩაწერილი. არც იმათ სურსთ სცენაზე ითამაშონ, დედ-მამა გაგვიწყურებო, ასე ამბობენ.

ვერ გავიგე ამ ხალხის ხასიათი. წარმოდგენასა და თეატრს ისევ მტრულად უყურებენ. თუმცა, როდესაც უფასოდ მიდიან, კლუბში ტევა აღარაა, ყველანი გულიანად დაიწყებენ ხარხარს, არც გაგავონებენ მსახიობის სიტყვებს. მათთვის ერთია, როგორი წარმოდგენაც გინდა იყოს: კაცი რომ კვდებოდეს, ისინი მაინც იცინიან. გრძნობის ერთი ნატამალიც არ იღვიძებს მათში. მოდი და ასეთ ხალხში გააკეთე რამე.

დღეს ქეთინოს მამასთან მოციქულები გავგზავნეთ. შევეუთვალეთ: „რაა, ბოლოს და ბოლოს, მიეცი თქვენ შვილს სცენაზე გამოსვლის ნება“. მეც ამ დღეგაციაში ვიყავი. ახტა-დახტა: ჩემ შვილს წარმოდგენაში სალაზღანდაროდ სადა სცალიაო ერთი მაგრად შემოგვიკურთხა და ისე გამოგვისტუმრა. წამოვედით თავჩაქინდრულნი. ხო, მართლა მე ერთი აზრი მომივიდა; თუ გოგოებმა არ ითამაშეს,

მე გამოვალ ერთ-ერთი ქალის როლში, სირცხვილი მათ და თავლაფი. დეიდა ელისაბედის კაბას ჩავიცვამ. კარგად მარგებს. დეიდა ელისაბედი ტანით ჩემზე მეტი არაა, თუმცა უფრო მსხვილია: არა უჭირს რა, გამოკეთდება საქმე. მეორე ქალის როლში დიტო გამოვა. რამდენს იცინებს, ჩემ გადაწყვეტილებას რომ გავაცნობ? კუჭი აღარ შერჩება. საქმე ისაა, რომ როდესაც სცენაზე გამოვალთ, ჩვენი კომკავშირელები ლექსუა, მიხო და ვანუა გვიცნობენ, ერთ აურზაურს ასტეხენ ხალხში, წამოძახილებს და დაცინვებს დასასრული აღარ ექნება. მათ სხვებიც აწყვიებიან. წარმოდგენის ჩატარების საშვალებას არ მოგვეცემენ. „ქალაბიჭებს“ დაგვიძახებენ. დეე, ასე იყოს, მე ამის არ მეშინია. პიონერთა ტანისამოსი საკმაო არა გვაქვს, უნდა ვიყიდოთ. საიდან უნდა ვიყიდოთ, თუ ფული არ გვექნა? ეს წარმოდგენა აბაზიანი და ორშაურიანი ბილეთებით იმდენ შემოსავალს მაინც მოგვეცემს, რომ ათი პიონერის ტანისამოსს მაინც შევკერავთ, ათ პიონერს კიდევ მივუმატებთ ჩვენ კოლექტივს.

ასეთი ხალხია და რას იზამ! თუ ტრუსიკებს და ბლუზას ვუყიდით, ყველას სურს მაშინ პიონერად ჩაწერა, თუ არა და არა.

მე ეს ჩემი გადაწყვეტილება ხვალ პიონერ-ხელმძღვანელს, მასწავლებელ გოგიას, უნდა გავაცნო. ვნახოთ, რას მეტყვის“.

ასე დამთავრა დღიური ნიკომ. საწერ-კალაში გვერდზე გადასდო, საშრობი ქალაღდით რვეული გამშორალა და დაკეცა. შემდეგ დაამოქნარა, გაიზმორა და ზანტად წამოდგა ზეზე. ყველას ჩასძინებოდა. თვითონაც ტანთ გაიხადა და ვასოს გვერდით მიწვა.

3

დილა-ადრიან ისევ ნიკომ გაიღვიძა.

— ბიჭო! ვასო! ადექი ზეზე! დაუწყო ღვიძება თავის ძმას.

ვასო შეიშმუნა და თვალეები გაახილა.

— ადექი ზეზე, კაცო, წამოდი, გავიპაროთ, თორემ ისევ ღორში გავაგზავნიან, ადე ზეზე, ნუ ზარმაცობ.

— არა, ნიკო, ვერ წამოვალ, ეს ამბავი ერთ ალიაქოთს ასტეხს ჩვენებში! — თვალეების სრესით და მთქნარებით ამბობდა ვასო.

— გუშინ რომ სიტყვა მომეცი, აღარ გახსოვს? ფუ! შერცხვეს შენი ვაჟაკობა!

— ჰო, კარგი, მაგრამ, თუ დედ-მამა გამიწყრა, შენ დაგაბრალებ ყველაფერს, გესმის?

ორივემ ტანთ ჩაიციკეს და ფეხაკრეფით გამოვიდენ კარში.

— ერთი ამათ უყურეთ! ამ დილა-უთენია რა მოგარბენინებდათ? — შეეკითხა მათ სკოლის დარაჯი



ს. ს. კ. პ. (ბ) ცეკას გენერალური მდივანი
ამხ. ი. სტალინი

იმ დღეს დილით ვასომ აღარ გაუარა ჩვეულებრივად თავის მეზობლებს, აღარ მოსთხოვა: „აბა, თქვენი ბურვაკი გამორკეთო“.

ყველანი გაკვირვებული იყვნენ.

სასწავლებელში უკვე ხარი დაირეკა და შეუდგენ მაცადინებდას.

— ყოჩაღ, ვასო! ეუბნებოდა მას სკოლის გამგე, — კარგი გიქნია, რომ გადაგიწყვეტია სწავლის გარძელება.

იმ დღეს აგრონომს პრაქტიკული გაკვეთილი ჰქონდა პირველ ჯგუფში, სადაც ვასოც იყო. მევენახეობაზე ახსნა გაკვეთილი. ყველას შეასწავლა ვახის განარების საშუალებანი. დაფიქრდა ვასო. სთქვა: „არა, რაც გინდა მომივიდეს, ვივლი სკოლაში. რა ღორების ჯაფრი მაქვს, როგორც უნდათ, ისე მოუარონ“.

საღამოს, როდესაც შინ დაბრუნდენ, ორივენი შეტევაზე გადავიდენ დედ-მამის წინააღმდეგ.

— მე ღორში აღარ წავალ! რა უნდა ვისწავლო ღორში? ჩემი ტოლები იქ არიან და სწავლობენ, მე ვითომ ღორში რატომ უნდა ვიარო?

მტკიცე იყო ასეთი გადაწყვეტილება ვასოსი. ვერავითარმა ხვეწნამ, ვერავითარმა დამუქრებამ ვერ იმოქმედეს მასზე და ვერ გადაათქმევინეს თავისი ერთხელ ნათქვამი.

— შეჯდა ჯორზე, მოუნდა ეხლა უსაქმოდ ხეტიალი! სულ ამის ბრალია, ამ აღქაჯმა ააგულიანა..

ბავშვებმა თავისი გაიტანეს. დასძლიეს დედ-მამის ჯიუტობა. იმ დღეს ნიკომ თავის დღიურში ჩასწერა: „ოთხშაბათი, 13 სექტემბერი.“

ვასო სკოლაში წამოიყვანა. მე ძალიან მიხარია ეს ამბავი. ვასოც ისწავლის და მეც.

დღეს სკოლიდან ბაღში გავედით და აგრონომის ხელმძღვანელობით სხვადასხვა ბოსტნეულობის მოვლა-მოშენებას გავეცანი. ახალმა მასწავლებელმა საზოგადოებათმეცნიერებაში უკვე დაიწყო მეცადინეობა. გამოგვკითხა, რაც ვისწავლეთ წლის განმავლობაში. გვესაუბრა სხვადასხვა საკითხებზე საზოგადოებათმეცნიერებაში.

პიონერ-კოლექტივში ამხანაგებს გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება. დიტომ უარი განაცხადა: „როგორ შეიძლება, მე ქალის ტანისამოსს არ ჩავიცვამო“. როდესაც სხვა გამოსავალი ვერ ვნახეთ, ძალაუფლებურად უნდა გასულიყო ჩემი წინადადება. ხელმძღვანელიც დაგვეთანხმა ამაზე, მე ასე მითხრა: „ვნახოთ, როგორ შეასრულებ ქალის როლს“. გავანაწილეთ როლები. მაშოს როლი დიტომ არასგზით არ აიღო. სხვა ამხანაგებიც წინააღმდეგნი წავიდენ და ამბობდენ, ქალის როლს ვერ ავიღებთო. მარტო მე გამოველ ასეთი თავხედი და „ქალაბიჭა“, ელენეს როლი ავიღე.

საკითხი როლების განაწილების შესახებ გამწვავდა. ქეთინო და ფენო ამ დროს ორივენი აქ იყვნენ და კუთხეში აბუზულიყნენ დამნაშავეებივით და ჩვენ ასეთ გაწამაწიაში არც კი იღებდენ მონაწილეობას.

უცებ ქეთინომ წამოიძახა:

— მომეცით მაშოს როლი, ვითამაშებ.

ყველანი გამხიარულდენ.

— აბა, ფენო, შენ რაღა გეთქმის, ჩემი როლიც შენ უნდა აიღო, — მივმართე ფენოს.

— რა გაეწყობა, ქეთინოსთან მეც ვიქნები. თუ მშობლები გავვიწყრებიან, ვეტყვი: პიონერ-კოლექტივში ვმაცადინობთ-თქო.

ყველამ მხიარულად მოგვიდეთ საქმეს ხელი და შეეფუდექით რეპეტიციას.

მე, ელენეს როლის მაგიერ, ვახტანგის როლი ავიღე!

ასე რომ არ მომეგონა, წარმოდგენას ვერ ჩავატარებდით.

შარშან ჩვენ სკოლაში საბავშვო დილას ან საღამოს ხშირად ვმართავდით ხოლმე, ყოველთვის მთავარ როლს მე ვითამაშობდი.

ეხლა პირველი ცდაა სკოლის გარეშე, კლუბში, ჩვენ მიერ საღამოს ჩატარების. ამიტომ უფრო მეტი სერიოზულობაა საჭირო. მერე ეს საღამო ფასიანი უნდა იყოს. ამხანაგები სერიოზულობას მაინც არ იჩენდენ. მათ დასაწყნარებლად და რეპეტიციის წესიერად ჩატარებისთვის ხელმძღვანელს ხმა გამოეღია, იმდენს ყვიროდა.

როგორც იყო, რეპეტიცია ჩატარდა. თუმცა ხელმძღვანელი ამ რეპეტიციით კმაყოფილი არ დარჩენილა.

— კაცო, რას ჰგავდა ეს, არცერთი თქვენთაგანი არ ცდილობდა როლში ხეირიანად გამოსვლას!

— არაფერია, ამხ. ხელმძღვანელო! ჯერ როლი არავენ არ იცის. გადაწერილიც არავის აქვს. მეორე რეპეტიცია უფრო კარგად ჩატარდება—ვაიმედებდი მას“.

4

მდ. ალგეთი წყნარად მილუკლუკებდა თავის ხეობაში. ს. ბოგვი ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ნიკოს ბალი ამ მდინარის არხით ირწყვება. ვასო და ნიკო ერთი კვირა მუშაობდნენ ამ არხის გაჭრაზე. აგრონომმა როდესაც ინახულა ხიკოს საოჯახო ნაკვეთი, მაშინვე წინადადება მისცა ძმებს არხი გაეჭრათ და მდინარის წყლით მოერწყათ ბალი.

— ყველაყერი ერთი-ათად იხარებს; როდესაც ბალი სარწყავი გახდება, მხოლოდ მაშინ შეგეძლებათ ყოველი კულტურის გაშენება, რაც ჩვენი სკოლის ბაღში მოიპოვება.—ასე დაასაბუთა თავისი სიტყვა აგრონომმა.

ზამთარი მიდიოდა. მზეს სიცხოველე ემატებოდა. ალგეთიც თანდათან დიდდებოდა. არხის გაყვანის პროექტი აგრონომმა დაუხაზა ნიკოს და ვასოს.

— ჰო და ასე. თქვენ არხის გაჭრას შეუდგებით მაისში, როდესაც მთებიდან თოვლი ჩამოდნება და მდინარეც დაიკლებს. სხვადასხვა ბოსტნეულობის დათესვა და მათი კულტურულად მოვლა ამ არხის გაყვანას უნდა დაუკავშიროთ. ხვალ თქვენთან მექნება პრაქტიკული გაკვეთილი ჭაოხლის მოვლისა და გაშენების შესახებ. ვისაუბრებთ აგრეთვე საზამთროს, ნესვისა და კვახის გასხვლის და მოვლის შესახებ. სხვადასხვა ხეხილის მცნობა და მათი მოვლა თქვენ უკვე შესწავლილი გაქვთ. თუ ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც სკოლაში გარიგებდით, მერწმუნეთ, რომ ეს ბალი გადაიქცევა თქვენი ოჯახის კარგ შემოსავლის წყაროდ. მთავარი პირობა ამ შემთხვევაში ესაა: არ იხარმატოთ და რაც სკოლაში ისწავლეთ, ის ყველაფერი პრაქტიკულად განახორციელოთ.

აგრონომის ასეთმა დარიგებამ დააკმაყოფილა ძმები და არხის გაყვანის სამუშაოს წინასწარ შეუდგნენ.

დღე-მამაც კმაყოფილი იყო შედეგების ასეთი საქმიანობით და აქამდე თუ მათ არ სურდათ ნიკოს და ვასოს „გაცდენა“, ეხლა, პირიქით, თვითონ ერეკებოდნენ მათ ბაღში და სკოლაში.

— დამაცადე, ადამიანო, ცოტა შევისვენო, დავილაღე: დღეს ბევრი ვიმუშავე,—ხშირად ეუბნებოდა დედას ვასო.

ზაფხულიც მოახლოვდა.

ბაღებში მუშაობა გამოცოცხლდა. ალგეთის ნაპირებზე მდებარე ბაღებს შორის ნიკოს ბალი ყველაზე ლამაზია და კარგადაა მოვლილი.

როდესაც საზაფხულოდ დაითხოვეს მოწაფეები სასწავლებლიდან, ყველას დაავალეს შრომა და ამავე დროს განვლილი მასალების ცხოვრებაში გატარება.

— აბა, შენ იცი, რა ცვლილებებს შეიტან ბაღში ამ ორი თვის განმავლობაში! არ დაგავიწყდესთ საზამთროების, გოგრების და სხვა ბოსტნეული ნაყოფის გასხვლა. გასხვლა უნდა იმ დარიგებების მიხედვით, რომელიც მოგეცით.

საღამოს იმ მოწაფეებმა, რომელთაც სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრეს, ადგილობრივ კლუბში წარმოდგენა გამართეს. ქეთინოს და ფენოს აღარ ეტყობოდათ მორცხვობა სცენაზე გამოსვლის დროს.

5

ახალი სასწავლო წელი როდესაც დაიწყო, ნიკომ თავისი დღიურების ჩასაწერი დიდი რვეულიც დაამთავრა. ფრთხილად შეინახა იგი ყუთში წარსული ცხოვრების მოსაგონებლად და ასეთივე დიდ ახალ რვეულზე შეუდგა ახალი დღიურების წერას.

დიდხანს უკუძანებდა ნიკო, თუ რა დაეწერა რვეულის გარეკანზე. გაიფიქრა: „ბოგვის ახალგაზრდობის სკოლის მესამე ჯგუფის მოწაფის ნიკო ჯაშიაშვილის დღიური“—არა, ძე ხომ გავათავებ ეს სკოლა, ეხლა ტფილისის სამეურნეო ტექნიკუმის მოწაფე ვარ. მეც ასე დავაწერ: „ტფილისის სამეურნეო ტექნიკუმის მოწაფის ნიკო ჯაშიაშვილის დღიური“. ამის შემდეგ გადაკეცა გარეკანი და პირველ ფურცელზე შეუდგა წერას:

„7 სექტემბერი, 1928 წ.“

დღეს დილით ადრე წავედი ქალაქ ტფილისში. დიდი ხანია ტფილისში აღარ ვყოფილვარ. ამ ვეებერთელა ქალაქმა, ვადაქიმულმა დიდ მანძილზე, ჩემს კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მასწავლებელი გოგია განათლების განყოფილებაში დამხვდა.

— როგორაა, ნიკო, შენი საქმე?—შემეკითხა ის.

— რა ვიცი, მასწავლებელო, შენი რჩევით აქ გამოვგზავნე განცხადება და მინდა შევიტყო შედეგი.

— მაშ, მე უკეთ მცოდნებია, რომელ სასწავლებელში ხარ გადაგზავნილი სახელმწიფო ხარჯით.

ჩემი ცნობისმოყვარეობა გაიზარდა.

— რომელ სკოლაში, მასწავლებელო?—შევკითხე.

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში!

იმ დღესვე დავკარი ფეხი და ამოვედი შინ. დღეს ვემზადები გასამგზავრებლად ჩემი ბარგი-ბარხანით. როგორც მითხრეს, ჩვენ საერთო საცხოვრებელში უნდა ვიცხოვროთ. რა კარგია ერთად ცხოვრება. ნამდვილ კომუნას განვახორციელებთ.

ვასო შინ დარჩება, ჩემ ბაღს მოუვლის. ნამყენი ვაშლები უკვე დაიზარდნენ და მშვენივრად ასხიათ.

ჩვენი ბალის თითოეული საზამთრო 10 კილოგრამზე ნაკლები არ გამოდის წონით. აგრეთვე ვეებერთელა გოგრეაი დაიზარდენ. მართლაც სანიმუშოა ჩვენი ბალი. წელს მე და ვასომ 50 ძირი მაქალაო გავახარეთ. გაისად ისინი ყველანი დაიმყნებიან. ამ ბალის შემოსავლის ნახევარი მეყოფა იმისათვის, რომ სამეურნეო ტენიკუმში სწავლა განვაგრძო. დედ-მამაც თანახმაა ჩემი ასეთი გადაწყვეტილების. გუშინ ითათბირეს და ასე დაადგინეს. მე აუცილებლად უნდა განვაგრძო სწავლა, ხოლო ვასო, სოფლის ახალგაზრდობის სკოლას რომ გაათავებს, ოჯახში დარჩება, ბალს მოუვლის ისე, როგორც სკოლაში მას აგრონომი ასწავლის. ვანოს ძალიან დიდი სურვილი აქვს აგრეთვე ბაღში სხვა კულტურაც გააშენოს ვაშლისა და მსხლის გარდა.

წელს მემინდვრობაში დავიცავით ის აგრონომიული წესები, რაც სასწავლებელში შევისწავლეთ. მშვენიერი მოსავალი იყო. არცერთი სარეველა ბალახი არ დავტოვეთ ყანაში. ხორბალი შინდის მარცვალს მიაგავს და მასში აღარ ურევია სარეველა ბალახების თესლი.

ჩვენი მეზობელი გლეხები ცნობისმოყვარეობით მოდიან და ნახულობენ ასეთ რჩეულ ხორბალს.

— აი გიდი, რას ნიშნავს სწავლა! ასეთი ხორბალი ბალი ვასოს და ნიკოს მოწეულია. ჩემი ბიჭიც უნდა გავაგზავნო აწი სკოლაშია. კაცო, მე ტუტუცას ასე მეგონა, იქ მარტო წიგნსა სწავლობენ მეთქი. მარტო წიგნისათვის ბავშვის გაცდენა არ მინდოდა. აქ კი, თურმე, ყანაში მუშაობასაც ასწავლიან“.

მართლაც, პირველ ხანებში ჩვენ სოფელში სკოლის გახსნის საქმეს უნდობლად უყურებდნენ.

— მიწის მუშაობაი ჩვენ უფრო უკეთესად ვიცით, მაგისთვის სკოლაში ბავშვს არ გავგზავნით,— ასეთი იყო გლეხების აზრი.

მაგრამ როდესაც თავისი თვლით დაინახეს ჩვენი საცდელ-საჩვენებელი ბალი, დარწმუნდნენ, რომ კულტურული შრომა უფრო მეტ ნაყოფს იძლევა. ამას ზედ დაერთო კიდევ ისიც, რომ ყოველ ჩვენგანს, მოწაფეებს, საოჯახო ნაკვეთიც გექონდა, სადაც კულტურული შრომით ერთი-ათად გავზარდეთ მოსავალი.

დღეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ყოველ მშობელს შეჰყავს თავისი შვილი.

ვითარდება და წინ მიდის ჩვენი სოფელი“.

დავით ციციშვილი.

ლენინი და ოქტომბერი.

არათუ მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მუშები, გლეხები და ახალგაზრდობა, არამედ მათთან ერთად მსოფლიო მუშათა კლასიც დღესასწაულობს ყოველწლიურად მსოფლიოში ერთადერთი პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს არსებობას, რომლის 11 წლის თავს ვლდე-სასწაულობთ წელს.

მუშების და გლეხების გამარჯვებას მეფეზე, მეფაბრიკეებზე და მემამულეებზე წინ უძღოდა ხანგრძლივი და დიდად საძნელო ბრძოლა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სწარმოებდა.

ამ ხანგრძლივ ბრძოლას და სასტიკ კლასიურ შეტაკებას მრავალი წლების განმავლობაში მეთაურობდნენ ოქტომბრის რევოლუციის ბელადი, ამხ. ვლადიმერ ლენინი, და მისი პარტია.

ამხ. ლენინის სახელი ახლა იმდენად პოპულარულია, რომ მას იცნობს მთელი მსოფლიო პროლეტარიატი და მისი მოწინააღმდეგეიც. ამ სახელს დიდი იმედით და სიყვარულით იხსენიებენ კაპიტალისტური ქვეყნების დაჩაგრული ხალხები. ლენინის დროშა მშრომელთა განთავისუფლების ნიშანია

მაგრამ იყო დრო, როცა. ამხ. ლენინი იჯდა ციხეებში, იყო გადასახლებული ციმბირში და ყოველმხრივ განიცდიდა დევნას, რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა საზღვარგარეთაც, ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

მხოლოდ 1917 წ. შეიქნა შესაძლებელი იგი დაბრუნებულიყო სამშობლოში და განეხორციელებია ის, რასაც პროლეტარიატის დიქტატურა ეწოდება და რის-

თვისაც დიდხანს იბრძოდნენ იგი და მისი პარტია. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება ხომ უცებ და ერთი ხელის დაკვირით არ შეიძლება. ამ ბრძოლების ისტორია უმძაფრესი კლასიური ბრძოლის ისტორიაა, იგი დატვირთულია არაჩვეულებრივი შეტაკებების, სისხლის ღვრის, ადამიანების მსხვერპლის, განწირული თავდადების უდიდესი ფაქტებით. ეს იყო მომენტი, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება სწარმოებდა შრომასა და კაპიტალს შორის.

ბარიკადების ერთ მხარეზე იდგა ბურჟუაზია და მემამულეები ცრუ სოციალისტებთან ერთად (კერენსკი, ჩერნოვი, ჩხეიძე), მეორე მხარეზე—მუშები, რევოლუციონური ჯარისკაცები და ლენინის და კომუნისტური პარტიის მეთაურობით ცდილობდნენ თებერვლის რევოლუციის გადატრიალებას, მის კომუნისტური რევოლუციის ლიანდაგზე გადაყვანას. ეს ბრძოლა მძაფრი იყო, მაგრამ ისაა ოქტომბრის რევოლუციის შემქმნელი.

1917 წლის ივნისში პირველად გამოვიდნენ მუშები დროშებით ქუჩებში და წამოაყენეს მებრძოლი ლოზუნგები:

- „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“,
- „მშვიდობა — ხალხებს“,
- „მიწა — გლეხებს“.

ეს ის მომენტი იყო, როცა ესერები და მენშევიკები მოითხოვდნენ მშომელებისგან კიდევ ახალ მსხვერპლს, ომის გაგრძელებას, სჯიდნენ გლეხებს მემამულეების შევიწროებისათვის, ციხეებში ავადებდნენ ბოლშევიკებს, ფრონტზე სიკვდილით დასჯა შემოიღეს და სხვა მრავალი.

ლენინი კი ამ დროს ჭერქვეშ ამუშავებდა ოქტომბრის რევოლუციის გეგმას.

იგი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ხალხი დაიღალა ომით, რომ გლეხებს მობეზრდათ ლოღინი დამუშავებელი კრებისა, რომელიც, ვინ იცის, მისცემდა თუ არა მათ მიწას, მუშების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა. აი, იგი სწერს წერილს ჭერქვეშიდან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაიწყონ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. „**მდგომარეობა ისეთია, რომ ბოლშევიკებს შეუძლიათ და უნდა აიღონ მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება თავის ხელში**“.

ლენინი მტკიცედ სდგას რევოლუციის სადარაჯოზე, შემდეგ წერილებშიც დაჟინებით იმეორებს იმ აზრს, რომ ნიადაგი მზადაა დაიწყონ შეიარაღებული შეტაკება დროებით მთავრობასთან. „**დაგვიანება, ან ცდა—დანაშაულება**“—სწერს ის.

ლენინს მტკიცედ სწამდა, რომ ის არ ცდებოდა. ის სტოვეებს ჭერქვეშეთს, ჩამოდის პეტროგრადში, რომ თვითონ უხელმძღვანელოს რევოლუციის მსვლელობას, იღებს მონაწილეობას ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში და

ერთ სხდომაზე გამოაქვთ დადგენილება **ლენინის მოსხენების ირგვლივ, და ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი იღებს რევოლუციის შეიარაღებული აჯანყების შესახებ.**

ამის შემდეგ სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა აჯანყების შესამზადებლად და 25 ოქტომბრისათვის უკვე ფაქტი ხდება პროლეტარული დიქტატურის არსებობა. „ავრორის“ ყუმბარები და შეიარაღებული ჯარისკაცების და მუშების რაზმები მარხავენ დროებით მთავრობას და ძალა-უფლებას იღებენ საბჭოები ბოლშევიკების მეთაურობით.

ასე შემზადდა და დაიწყო ოქტომბრის რევოლუცია და დღეს უკვე ვხეივანით გამარჯვების და წინსვლის 11 წლის თავს.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

ალ. ს—ვა.

პიონერები საბჭოების გადაარჩენაში.

ნორჩო პიონერებო!

ახლოვდება საბჭოების გადაარჩენების კამპანია; გასული წლების განმავლობაში პიონერ-ორგანიზაციას ასეთ კამპანიებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ მას არ გამოუაშკარვებია თავისი მნიშვნელობა ამ მუშაობაში.

გადარჩევის კამპანია იყოფა სამ ნაწილად:

- 1) მოსამზადებელი მუშაობა,
- 2) საანგარიშო კამპანია და
- 3) გადარჩევის კამპანია.

პიონერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამ კამპანიაში, ეს იქნება დიდი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა; პიონერებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ამ მუშაობით პარტიისა და კომკავშირისათვის.

რის გაკეთება შეუძლია პიონერს, როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს მან?

პიონერებმა უნდა აიღონ პრაქტიკული ღვაწლებანი: დახაზონ სამეურნეო განვითარების დიაგრამები ქალაქად, რაიონში, თემში, თავისი სოფლის, თავისი თემის, დასწერონ ლოზუნგები და დახატონ პლაკატები.

კოლექტივში შესაძლებელია გამოიცივს კედლის გაზეთი, რომელიც მიძღვნილი იქნება საბჭოების გადარჩევისადმი, სადაც შესაძლებელია გაშუქებულ იქნას ამა თუ იმ ქალაქის ან სოფლის საბჭოს მუშაობა. პიონერებმა განმარტებითი მუშაობა უნდა აწარმოონ მოსახლეობას, მშობლებსა და ნაცნობებს შორის საბჭოს მუშაობის შესახებ, რის შემდეგ

ისინი უნდა მიიზიდონ საბჭოთა გადარჩევის კამპანიებისათვის გამართულ კრებებზე. პიონერების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე უწყებების შედგენა და დახმარება მათ დარგებში. პიონერები, განსაკუთრებით სოფელში, შეიძლება დაეხმარონ საბჭოს ამომრჩეველთა სიების შედგენაში.

როდესაც დადგება საბჭოების გადარჩევის დრო, პიონერებს მაშინაც ბევრი სამუშაო უჩნდებათ, აუცილებელია გამშენიერებულ და მორთულ იქნას ის ბინა, სადაც უნდა მოხდეს გადარჩევა და საანგარიშო კრებები. პიონერებმა უნდა დახატონ პლაკატები და დიაგრამები, გააკრან ისინი კრებების ადგილებზე და მწვანით მორთონ ეს ადგილები. იქ, სადაც არ არის კლობები ან სათანადო ბინები, პიონერები უნდა გამოვიდნენ ინსცენირობებით, ცოცხალი გაზეთის ნომრებით და სხვ. ამას გარდა, ოჯახშიც არ არის ნაკლები სამუშაო. პიონერი უნდა ეცადოს წაიყვანოს საანგარიშო და საარჩევნო კრებაზე დედ-მამა; იქ, სადაც დედებს არ შეუძლიათ კრებებზე წასვლა, ვინაიდან ვერ დასტოვებენ პატარა ბავშვებს, დედა უნდა შესცავლოს თვით პიონერმა, მოუაროს ბავშვებს და დედას კი კრებაზე წასვლის საშვალდება მისცეს.

ამით დიდი მუშაობა იქნება შესრულებული.

პიონერებს აგრეთვე შეუძლიათ კრებებზე მისვლა და თავისი „ნაკაზების“ მიცემა საბჭოსადმი. „ნაკაზები“ უნდა შეეხებოდეს იმას, რომ საბჭომ არ დაივიწყოს პიონერთა არსებობა და ზომები მიიღოს მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი „ნა-

კაზი“ გამომუშავებული უნდა იქნას კოლექტივის საბჭოს მიერ, განხილული უნდა იქნას პიონერთა წრეში, რის შემდეგაც შესაძლებელია ან მთელი კოლექტივის, ან ამორჩეული დელეგატის მიერ იქნას წაკითხული საანგარიშო კრებაზე.

ნაკაზის შინაარსი შეიძლება იყოს ასეთი:

1) ჩვენ სწავლა გვინდა, მაგრამ ჩვენს სკოლაში, განსაკუთრებით სოფლად, ბევრი ნაკლია, საცდლიერ გვიშლის ხელს ნაყოფიერ მუშაობაში (სწავლაში). მეტი ყურადღება, მეტი დახმარება სკოლას, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ჩვენი სწავლების კარგად დაყენება და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

2) ჩვენ სკოლაში ვატარებთ 4-5-6 საათს უტმელად; ეს ძლიერ ვნებს ჩვენს ჯანმარტელობას და სწავლის უნარიანობას, ჩვენ გთხოვთ მოაწყოთ სკოლაში საუზმე.

3) ჩვენ არ გვყოფნის ბინა სამეცადინოდ კოლექტივისათვის და რომელიც გვაქვს, ისიც ნესტიანი და ცივია. არ გვაქვს საკუთარი კლუბი. ეს გვიშლის ხელს კულტურულად მოვაწყოთ დასვენება. ჩვენ გთხოვთ შეძლებისდა გვარად დაგვაკმაყოფილოთ ბინებით და ახალი კლუბის აშენების დროს გაითვალისწინოთ ბინები ჩვენთვისაც.

4) ჩვენ გვსურს ჩვენი დასვენება მიზანშეწონილად გამოვიყენოთ. მოგვიწყვეთ კარგი და იაფი კინო-დილები. მოაწყვეთ გადასატანი კინოები კოლექტივისათვის სოფლად კაოგი სურათებით. მოგვეციოთ რაც შეიძლება მეტი საბავშვო წიგნი ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის და ქობ-სამკითხველოებისათვის. ყურადღება მიაქციეთ საბჭოს დადგენილებებს ბავშებისათვის ათი საათის შემდეგ გასართობ ადგილებში ყოფნის შესახებ.

5) ზაფხულობით დახშულ და მტვრიან კედლებში რჩება ბავშთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც საშვალეება არა აქვთ გამოვიდენ სუფთა ჰაერზე. მოაწყვეთ მათთვის მოედნები, რომ ჩვენ შეგვეძლოს მიზანშეწონლად გავატაროთ ჩვენი არდადეგები. დაგვეხმარეთ ბანაკების მოწყობასა და ჩატარებაში.

6) ჩვენს საბავშვო სახლებში ყველგან არ არის მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო და კულტურული ცხოვრება, ხშირია ცალკე უარყოფითი მოვლენები. მეტი ყურადღება საბჭოთა ისეთი მოქალაქის აღზრდას, რომელსაც შეეძლება ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

7) ხილების ქვეშ, ნაგვის ყუთებში ჯერ კიდევ ათევენ ღამეებს უპატრონო ბავშვები, რომლებიც ირყვნებიან ქუჩის ზეგავლენით. მეტი ყურადღება და მეტი დახმარება ამ ბავშვებს. ჩვენ არ უნდა გვყავდეს არცერთი უპატრონო ბავში.

ეს „ნაკაზი“ მაგალითისათვისაა მოყვანილი. კოლექტივებს შეუძლიათ თავისი ცვლილებები შეიტანონ, დაუმატონ, ან შესცვალონ პუნქტები. ამისათვის საჭიროა პიონერთა შორის გარჩეულ და შემოწმებულ იქნეს იგი; „ნაკაზის“ გარჩევა უნდა ხდებოდეს კოლექტივის შეკრების დროს. შემდეგ შესაძლებელია ამ „ნაკაზის“ წარდგენა ყრილობაზე და საბჭოების გადარჩევებზე. „ნაკაზს“ უნდა გაეცნოს ოჯახი, რომ მისმა წევრებმა წინდაწინ იცოდენ და დაიცვან ეს „ნაკაზი“ კრებებზე. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია პიონერ-მოძრაობის ირგვლივ შევქნათ საზოგადოებრივი აზრი, გავაკეთოთ დიდი საზოგადოებრივი სამუშაო, გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება და მონაწილეობა მივიღოთ სამჭოების გადარჩევებში; მეტა სისწორე, მეტი ენერგია, მეტი აქქობა დიდ კოლექტიურ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

იყავით მზად!



ოქტომბრის რევოლუცია და გავრცელება.

11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მშრომელმა ხალხმა ძალა-უფლება კაპიტალისტებს გამოჰგლიჯა ხელიდან და თვითონ შეიქნა ქვეყნის ბატონ-პატრონი. ათი წლის წინ, იმ დროს, როდესაც ნიკოლოზ მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან, ეხლანდელი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ათასნაირი მოტყუებით და თვალთმაქცობით მოექცენ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიული პარტიები (მენ-შევიკები, ესერები). სახელმწიფოს სათავეში მათი ყოფნის დროს მშრომელთა უფლებრივი მდგომარეობა თითქმის ისეთივე დარჩა, როგორც იყო თვითმპყრობელობის დროს. ცხადია, რუსეთის რევოლუციონური მშრომელი მასა, რომელიც უკეთესი მომავლისათვის ათეული წლების განმავლობაში თავდადებულად იბრძოდა, ხოლო ეს კი არ გაუმართლდა, ვერ მოითმენდა ბურჟუაზიის უღელს და მის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო. და, აი, სწორედ 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს ახალი სტილით) რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელი გლეხობის დახმარებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიული წყობილება და მის ნაცვლად დაამყარა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა. ეს მოხდა მხოლოდ რუსეთში.

საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში სახელმწიფოს კვლავ ბურჟუაზია განაგებდა, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა, ვინაიდან კლასიური ბრძოლის გრიგალს, ოქტომბრის გრიგალს, აქეთკენაც უნდა გადმოეფლო, რაც შემდეგმა წლებმა გამართლეს ამიერკავკასიის გასაბჭოებით.

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელ ხალხს, კერძოდ მათ ბავშვებს? პირველ ყოვლისა, კაპიტალისტებს და მემამულეებს ჩამოერთვა ფაბრიკა-ქარხნები, რკინის გზები, ბანკები, მიწები და გადაეცა მუშებს და გლეხებს.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი, მის სათავეში დააყენა მუშები, გლეხები და ინტელიგენციის საუკეთესო რევოლუციონური ნაწილი, ბოლო მოუღო ეროვნებათა შორის არსებულ უფლოს, საფუძველი ჩაუყარა ერების თვითგამორკვევას და ეროვნული კულტურის განვითარებას, დაამყარა ერთა შორის მშვიდობიანობა და სიყვარული.

ოქტომბრის რევოლუციამ მთლიანად შესცვალა სწავლა-განათლების ძველი წესები, შეძლებისდაგვარად ჩვენს სკოლებს ჩამოაცილა ძველი მეშინურ-მოვინისტური და რელიგიური გრძნობებით გატაცებული პედაგოგები, შესცვალა აღზრდის

სისტემა და უკანასკნელი დაუკავშირა პროლეტარიატის ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებს, გამოაღვიძა მოწაფეები, გააღვიძა მათში შრომისა და თვითმოქმედების გრძნობები (მოწაფეთა თვითმართველობისა და კომიტეტების ჩამოყალიბებით სკოლებში), ჩააბა ისინი საზოგადოებრივ მუშაობაში და მით გააძლიერა მშრომელთა შეილები სწავლისა და განათლების მიღების შესაძლებლობა. ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც მოუსწრო უპატრონოდ დარჩენილ მრავალ ბავშვს (ეს არის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შედეგი), მრავალი უპატრონო ბავშვი ააცდინა სიკვდილს და შეჰქმნა მათვის სპეციალური დაწესებულებანი (საბავშვო სახლები). მაგრამ პროლეტარიატის ინტერესები და ბავშვთა მსოფლმხედველობის განვითარება უფრო მეტს მოითხოვდა. საჭირო იყო ახალგაზრდობის და ბავშვების უფრო აქტიურად ჩაბმა პროლეტარიატის ბრძოლის საერთო საქმეში. ამისათვის შეიქმნა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის და ნორჩ პიონერთა ორგანიზაციები. უკანასკნელი—პირველის უშუალო ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა კავშირში აერთიანებს ორ მილიონ ბავშვს და ჩაბმულია, კომპარტიისა და მშრომელ ხალხთან ერთად, სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ყველა ეს, ათი წლის ბრძოლის მიღწევები ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ფორტებზე, თავზარსა სცემს დასაფლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს და აქედან გაქცეულ მენ-შევიკების „ბელადებს“. ამიტომ დღეს ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ჩაგვინგრიონ ეს ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა, მოგვისპონ ოქტომბრის მონაპოვარი, დაარღვიონ მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი ცხოვრობა და ამ გზით ძველებურად წამოასკუპონ ბატონი გენერლები და ბურჟუა-მემამულეები. ისინი ომისათვის ემზადებიან. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ, თუ მოინდომებენ ომს, ჩვენ შევებრძოლებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ოქტომბრის ძღვევამოსილი რევოლუცია უახლოვდება ბურჟუაზიის ქვეყნებსაც. ოქტომბრის რევოლუციის პირველი ათი წლის ბრძოლა უნაყოფოდ არ ჩაივლის, მის მეორე ათი წლის თავს ჩვენ ვიდღესასწაულებთ სხვა გასაბჭოებულ ქვეყნებშიც, და ეს იქნება პროლეტარული რევოლუციის საერთაშორისო გამარჯვება.

ა. ასტაშევა

ქ ა ტ ო გ რ ი ს ღ ლ ე ბ უ ი

მატროსი ღიბენკო ლენინთან.

ღიბენკომ, მიემგზავრებოდა რა პეტროგრადის გზით, შეიარა კშეშინსკაის სასახლეში, რომელიც ბოლშევიკების ხელში იყო. ღიბენკოს უნდოდა ლენინის ნახვა ვინაიდან მისი მიმდევარი იყო და არაადროს კი არ ენახა.

შედის სასახლეში, ოთახიდან ოთახში გადის, დაეძებს ლენინს, კითხულობს:— შეიძლება ლენინის ნახვა?

— თქვენ ვინა ხართ?

— მე ცენტრობალტის*) თავმჯდომარე ვარ!

მეზობელ ოთახიდან გამოდის საშუალო ხნის კაცი, დაბალი ტანის, მოლიმარი სახით, საქმიანი თვალებით. ეს— ლენინია.

— მომეცით ნება მივიღო თქვენგან მითითებანი ჩვენი მუშაობისათვის, რადგანაც დამაჯერებელი ხმები დადის შეიარაღებულ აჯანყებაზე.

ლენინისაგან გაიგო, რომ ჯერ არავითარი შეიარაღებული გამოსვლა არ ეწყობა, არამედ გათვალისწინებულია მხოლოდ დემონსტრაცია.

დემონსტრაცია (1917 წ. ივნისი)

ქარხნის საყვირები ამუშავდნენ, მაგრამ სამუშაოზე არავინ მიდის.

— ამხანაგებო! კრებაზე, — ელვასავით გასრიალდა მუშა და მიეფარა სახელოსნოს მთავარ კარებს. ხმაურია. ყველა მიეშურება უკანა ეზოსკენ, სადაც გათვალისწინებულია საერთო კრების მოწყობა.

საბჭოების წარმომადგენლები უკვე ტრიბუნაზე არიან; გარშემო მუშების და მუშა ქალების მასაა. ტრიბუნაზე სდგას ერთი ამხანაგი და ლაპარაკობს: ამხანაგებო! ნუთუ ჩვენ იმიტომ მოვახდინეთ რევოლუცია, რომ ჩვენი მონაპოვარი ბურჟუაზიას გადავცეთ? არა, ჩვენ მთავრობას ქვეყანა ისევ ომისაკენ მიჰყავს! ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ბურჟუაზიის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ, ძირს მივინისტრები-კაპიტალისტები! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ფრიალებენ წითელი დროშები ლოზუნგებით: „ომი ომს!“. ყველანი გაჩუმდნენ, მაგრამ ეს იყო წუთიერი, შემდეგ კი უცბად მრისხანე „ვაშამ“ დაფარა ხმაური თითქმის მეზობელ ქარხნისაკენ. ექვსიათასიანი მასა დაიძრა გამოსავალი კარებისაკენ სიმღერით: „აღსდექ, შემოკრებით“.

მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

(პეტროგრადში, 18 ივნისს.)

დილიდან საღამომდე მიემართებიან მუშათა მწკრივები მარსის მინდვრისაკენ, სადაც თებერვალში დაღუპულთა საფლავებია. დროშები დახრილია საფლავებზე, და მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

ნაბიჯების გუგუნი. მოდიან, მოდიან. წითელ ტილოებზე წარწერები:

— პური, ზავი, თავისუფლება!

* „ცენტრობალტი“-ბალტიის ფლოტის ცენტრალური კომიტეტი.

— მთელი ხალხის შეიარაღება!

— მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!

აი, მუშებს მოაქვთ დროშა. ამ დროშას მრისხანე წლები გაუვლია, მაგრამ დღესაც საბრძოლველადაა გამოტანილი. „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“.

ძალა-უფლების აღების პირველი ცდა.

ვინ დაივიწყებს პეტროგრადს, როგორიც იყო ის პირველ ივლისს! ჯარისკაცები ნაცრისფერი, მატროსები თეთრი, ქარხნის მუშები შავი ხალათებით... ყველანი მიმართებოდნენ ქალაქის მთავარი კუჩებისაკენ. ათასი წითელი დროშა და პლაკატი! წითელი თავსახვევები მუშა ქალების თავებზე.

ადამიანების მასა მიმდინარეობდა და მღეროდა.

მაგრამ 1 ივლისი იყო მომავალი ქარტახის შესავალი

16 ივლისს დაიწყო: ჯერ გამოჩნდნენ ხნიერი ჯარისკაცების მთელი მწკრივები პლაკატებით: „გაუშვით 40 წლიანები შინ, პური მოიკან“.

მაშინ ყაზარმებმა და ქარხნებმა გამოუშვეს შეიარაღებული ხალხის ნაკადები, რომელნიც მიმდინარეობდნენ თავრიდის სასახლისაკენ. ჯავშნიანი ავტომობილები დაგრიალებდნენ ლამაზად ქუჩებზე. საბარგო ავტოები შეიარაღებული ჯარისკაცებით მიგრიალებდნენ. თავრიდის სასახლესთან გავარდა პროვოკატორული ტყვია. ამას მოჰყვა სხვა ათასი, და ყოველ მხრივ მოისმა სროლა. ესროდნენ ერთიერთმანეთს. ივნისის მშვიდობიანი დემონსტრაციები 16 ივლისს დროებითი მთავრობის ჯარებთან შეტაკებებით გათავდა. ამ დღიდან დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა იწყებს რეპრესიებს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

ლენინი იმალება.

16 ივლისის შემდეგ აწარმოებდნენ მუშების მასიურ ლაბატირებას ქუჩებზე იუნკრების კონვოები. მიჰყავდათ შტაბში; გზაში სცემდნენ, ასისხლიანებდნენ მუშებს. ყოველ დაჭერილ მუშას თავბრიდან სისხლი სჩქეფდა. იუნკრები და ყაზახები დატუსაღებულ მუშებს სცემდნენ კონდახებს და დასცილოდნენ; „აი თქვენ ბოლშევიზმი, აი თქვენ მიწა, აი თქვენ თავისუფლება“.

ივლისის დღეების შემდეგ, როდესაც მოწყობილ იქნა ცოფიანი და მრისხანე ცილისწამება ლენინზე და მუშათა მოძრაობის სხვა თვალსაჩინო ბელადებზე, ლენინი იძულებული შეიქნა დაეტოვებია თავისი ბინა და მოენახა უშიშარი სადგომი. ლენინმა დროებით დასტოვა პეტროგრადი.

კორნილოვის ლაშქრობა პეტროგრადზე.

გენერალმა კორნილოვმა სიკვდილით დასჯა შემოიღო ჯარში. 9 სექტემბერს კი გამოსცა პროკლამაცია, სადაც ეწერა: ჩვენი დიდი ქვეყანა ილუპება და ყველა, ვისაც სწამს რუსეთი, მოვალეა გაათავისუფლოს თავისი სამშობლო ბოლშევიკური საშინელებისაგან.

მან გამოიწვია ფრონტიდან ჯარის ნაწილი, 40.000 ხიშტიანი ჯარისკაცი. ბევრი მათგანი მუსულმანები იყვნენ — თურქმენების ლეიბგვარდია, თათრული კავალერია

და კავკასიის მთიელები. აეროპლანებით, ჯავშნოსანი ავტომობილებით და გამოწვეული ჯარით ის დაიძრა პეტროგრადისკენ.

მაგრამ მან ვერ აიღო პეტროგრადი.

საბჭოების და რევოლუციის დასაცავად აღსდგენ მასები, და კორნილოვი მოლაღატედ იქნა გამოცხადებული, გააღეს არსენალები, და მუშები შეიარაღდნენ. წითელგვარდიელები იცავდნენ წესრიგს ქალაქში, ააგეს ბარიკადები. კორნილოვის ძალები დადგნენ, და ის ხელში ჩაიგდეს ერთი ტყვიის დაუხარჯავად.

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი

სამხედრო სარევ. კომიტეტის საკითხი 12 ოქტომბერს დადგა. 21-22 ოქტომბერს გაცემულ იქნა ბრძანება პროლკემისადმი, რომ **პეტერბურგის სამხედრო ოლქის** განკარგულებანი არ უნდა იქნეს შესრულებული, თუ იგი დამტკიცებული არაა სამხედრო-სარ. კომიტეტის მიერ. სამხ. სარ. კომიტეტის პირველი სხდომა შესდგა სმოლნში, მე-3 სართულში. არჩეულ იქნა ბიურო, რომელშიაც შედიოდნენ ლაზიმირი, პოდვოისკი და სადოვსკი, კრებას დაესწრნენ: ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ლაშევიჩი და სხვ.

23 ოქტომბერს სამხ.-სარ. კომიტეტმა გამოჰყო სამეული ზამთრის სასახლის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების სახელმძღვანელოდ. სამეულში შევიდნენ: პოდვოისკი, ანტონოვი, ჩუდნოვსკი.

პეტროგრადის სამხედრო-სარ. კომიტეტი დაარსდა იმ დროს, როდესაც დროებითმა მთავრობამ გასცა ბრძანება პეტროგრადის გარნიზონის ჩრდილოეთის ფრონტზე გაგზავნის შესახებ.

ს მ ო ლ ნ ი

რუსეთის ყველა კუთხიდან ხალხი მოიქარის სატახტო ქალაქში. ესენი დღეეგატები არიან. სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე სმოლნში მოდიან.

სმოლნი წინათ აზნაურების ქალიშვილების სასწავლებელი იყო; დღეს საბჭოების ცენტრია ეს დიდი შენობა ნევას ნაპირებზე. დროებითი მთავრობა ელოდა ბოლო დღეებს.

—მე მინდა მხოლოდ ის, რომ ისინი გამოვიდნენ ქუჩაზე და მაშინ გავსრეს მათ,—ამაყად განუცხადა კერენსკიმ ინგლისის წარმომადგენელს ოქტომბრის რევოლუციის წინაღობით.

საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვს კერენსკისაგან, რომ მან გამოსცეს ბრძანება საბჭოების აღმასკომის დატყვევების შესახებ.

პროკურატურა იღებს ბრძანებას: „დაატყვევეთ ბოლშევიკები“.

იუნკრები იჭერენ ბოლშევიკური გაზეთის რედაქციებს და არბევენ.

ჯარის ზოგიერთ ნაწილი იღებს ბრძანებას წამოვიდნენ პეტროგრადში. დგება გადამწყვეტი დღე—25 ოქტომბერი (ახ. სტ. 7 ნოემბერი).

ქ უ ჩ ე ბ შ ი

მარსის მინდორზე ყრიაშული და მხიარულებაა. ჯარისკაცები ანთებენ კოცნებს. ერთ-ერთ კოცნონთან შეიკრიბნენ ჯარისკაცები და მატროსები სხვადასხვა ნაწილ-

ბიდან. ყველანი შეშებზე ისხდნენ ცეცხლის გარშემო, მასხანებზე დაყრდნობილი.

—რატომ ვდგავართ ასე?—კითხულობს ერთი.

—რა ამბავია, დაგვცინიან თუ რაა?—ამბობს ერთი მეზღვაური. ამ დროს მაღალი შეგწვერა მეზღვაური გამოჩნდა ტროცკის ხიდთან საბარგო ავტომობილზე, მოახლოვდა და სთქვა:

—კომიტეტის განკარგულება: დავიცადოთ!

ულტიმატუმი (გადამწყვეტი მოთხოვნა)

—სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი წინადადებას გაძღვეთ მიღებიდან 20 წუთის განმავლობაში შესწყვიტოთ სამხედრო მოქმედებანი, ჩავვაბაროთ მთელი იარაღი და ზამთრის სასახლე გადასცეთ სამხედრო-სარევ. კომიტეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული დროს გასვლის შემდეგ პეტრე-პავლეს-არტილერია და კრეისერ „ავრორა“ საარტილერიო ცეცხლს გააჩენს.

ა ვ რ ო რ ა

შევთანხმდით: თუ ულტიმატუმი უარყოფილ იქნება, ციხე ერთხელ გაისვრის. ამის შემდეგ გავარდება „ავრორადან“—ცალკეი ყუმბარა, შემდეგ ისევ ციხე გაისვრის რამდენჯერმე, ამას ისევ „ავრორა“ მოჰყვება უკვე ნამდვილი ყუმბარებით.


სალამოა; ნელ-ნელა ზნელდება. „ავრორაზე“ გაცემულ იქნა ბრძანება მოკმადაოს პირობითი სროლისთვის ელოდნენ ციხიდან შტანგს. ნევის ნაპირები მოფენილია მოხეტიალე ხალხით. ალაპარაკდა „ავრორა“. სროლის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ ველოდით. სასახლე, როგორც ეტყობოდა, კიდევ წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა, ვინაიდან იქიდან მოისმოდა ტყვიამწყვეველის კაკანი. მაგრამ, აი, მოვარდა მეზღვაური, რომელსაც კავშირი ეჭირა ციხესთან. მან მოიტანა წერილი, სადაც ეწერა, რომ უნდა დაეშინათ ზარბაზნები ზამთრის სასახლისათვის. გავეცით ბრძანება „ავრორაზე“, რომ ამისათვის მომზადებულიყვნენ. ყველაფერი ეს სწრაფად მოხდა.

„სასახლე აღებულა!“

ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა

24 ოქტომბერს კერენსკიმ განკარგულება გასცა ყველა ხიდის ახსნის შესახებ. ამით მას უნდოდა მოეწყვიტა სმოლნი მუშათა რაიონისაგან, ამის დაშვება კი შეუძლებელი იყო. უცბად გაცემულ იქნა ბრძანება ყველა რაიონებისადმი, რომ არ დაუფიან ხიდების ახსნა და ამისათვის გამოგზავნილ იქნენ შეიარაღებული წითელრახმელები. რაიონებმა ბრძანება შეასრულეს, და ხიდები წითლებმა დაიჭირეს. მაგრამ ნიკოლოზის ხიდი იუნკრების ხელთ დარჩა. ამ ცნობის მიღებისთანავე სამხედრო-სარევ. კომიტეტმა უბრძანა კრეისერ „ავრორას“ ხიდი მიზანში ამოეღო. „ავრორამ“ ზარბაზნები ხიდს მიუშვირა, ერთდროულად გადმოსხა დესანტი ნაპირზე, წინადადება მისცა იუნკრებს ხიდი დაეცალათ, რაც იუნკრებმა მაშინვე შეასრულეს. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა მოქმედების დაწყება გადასწყვიტა. გასცა ბრძანება სახელმწიფო ბანკის, ხაზინის, ტელეფონის სადგურის, ტელეგრაფის, ფოსტის დაკავების შესახებ.

ტელეფონის სადგურის დაკავებისას რევოლუციონერმა ჯარისკაცებმა ხელში ჩაიგდეს იუნკრების პატრული.



უფრო ადვილი იყო ბანკის და ხაზინის აღება. ყარაულში მყოფმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ისინიც სამხედრო-სარ. კომიტეტის მხარეზე არიან. რვა საათისათვის სამხედრო-სარ. კომიტეტის ყველა განკარგულება შესრულდა. სასახლის რაიონში სწარმოებდა დიდი სროლა. დროებით მთავრობის გარშემო შემოიკრიბენ: იუნკრები, პრაპორშჩიკების სკოლა, ქალების ბატალიონი და ყაზახების ნაწილი. მაგრამ რას განდებოდა ეს ლოთების და მშიშარების ხროვა! ზამთრის სასახლე დაეცა, დროებითი მთავრობა დაატყვევა ამხ. ანტონოვმა და გადაგზავნა პეტრე-პავლეს ციხეში.

ს ი ტ ვ ა

ზამთრის სასახლის დაცემამდე რამდენიმე საათით ადრე პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე მუშებმა და ჯარისკაცებმა მოითხოვეს ამხ. ლენინი, რომელიც ყრილობაზე მოვიდა.

ლენინი ავიდა ტრიბუნაზე და სიტვა დაიწყო.

—ამხანაგებო! ის პროლეტარული რევოლუცია, რომელზედაც ყოველთვის ლაპარაკობდნ ბოლშევიკები, უკვე მოხდა.

დღეიდან ქვეყანას საბჭოები განაგებენ.

ეხლა ჩვენ უაირვლეს ყოვლისა უხდა გავათაოთ ომი. მაგრამ იმისათვის, რომ მოვაპოთ ომი მთელი ქვეყანაზე, უნდა მოვსპოთ ბურჟუაზია.

რუსეთში გლეხების უმრავლესობამ გარკვეულად სთქვა—ჩვენ მუშებთან ვართო. გლეხები ეხლა უფრო

ენდობიან მუშებს, ვინაიდან ჩვენ ჩამოვარდნილნი მიწებს მემამულეებს და გლეხებს გადავცემთ.

ჩვენ გვიხსნის მხოლოდ მუშების და მშრომელი გლეხების კავშირი.

მაშ გაუმრჯოს მსოფლიო რევოლუციას!

საბჭოების ყრილობაზე

ერთიერთმანეთს მოჰყვა დიდი ამბები.

—მთავარი შტაბი აღებულია.

—ზამთრის სასახლის აღებას ცდილობენ.

—იუნკრები გგნებდებიან.

დროებითი მთავრობა დატყვევებულია და, აი, პეტროგრადი აჯანყებულების ხელშია. მაგრამ იმარჯვებს თუ არა მუშურ პეტროგრათან ერთად მთელი მშრომელი რუსეთი? რას იტყვიან ჯარისკაცები ფრონტზე? რას იტყვის არმია?

ადრიანი დილა იყო, როდესაც საბჭოების ყრილობაზე ტრიბუნაზე ავიდა ფერმკრთალი კაცი. ის დალასლასებდა დაღლილობისაგან. ეს იყო პრაპორშჩიკი კრილენკო. კრილენკომ აათამაშა რაღაცა ქალაღი და დაიწყო:

—ამხანაგებო, მიღებულია დეპეშა ჩრდილოეთის ფრონტიდან. მეთორმეც არმია უგზავნის მებრძოლ სალამს საბჭოთა ყრილობას. მთელი ძალა-უფლება ჩრდილოეთის ფრონტზე სამხედრო-სარეგ. კომიტეტის ხელში გადავიდა. არმია ჩვენსკენაა!

გ. ღ—ი.

არაღმართობის სტამბა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

კომუნისტური პარტიის ჭერ ქვეშ მუშაობის ისტორია დატვირთულია მრავალი გამირული თავგანწირული ფაქტით. ამ მუშაობაში ერთ-ერთ სიძნელეს წარმოადგენდა ყოველთვის ბოლშევიკური პრესის და პროპაგანდის მოწყვრიგების მიზნით არაღმართობის სტამბების მოწყობა და მისი შენახვა.

ვინ მოსთვლის, რამდენი ხიფათი და გაჭირვება შეხვედრია ყველა იმას, ვინც ასეთ საქმეს ჰკიდებდა ხელს! ძველ დროს სახრჩობელა, ციმბირი ხომ არ აგცილდებოდა, მაგრამ უბედურობა ის იყო, რომ მენშევიკების ბატონობის დროსაც არა ნაკლებ დევნას განიცდიდა ყველა, ვინც არაღმართობის სტამბაში მუშაობდა, სულ ერთია, იგი პროფესიონალური რევოლუციონერი იყო, თუ უბრალო მუშა.

მენშევიკების ბატონობა სრულიად ბუნებრივად ბადებდა საქართველოს მუშათა კლასში უკმაყოფილებას: მიუხედავად ძველი რეჟიმის შეცვლისა, არსებითად არავითარი ცვლილება არ ხდებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში.

უკმაყოფილებას დიდი ადვილი ჰქონდა მუშათა ფენებში, რითაც სარგებლობდა ბოლშევიკური პარტია და მასამ ამხადებდა და რაზმავდა გასაბჭოებისათვის. მე, როგორც სტამბის მუშა, ამ დროს ვმუშაობდი ერთ-ერთ მენშევიკურ გაზეთზე, მაგრამ თანაგრძნობას ვუცხადებდი კომუნისტურ პარტიას, რომელიც არაღმართობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქმე ის იყო, რომ ჩემთან ერთად მუშაობდა პარტიის წევრი ამხ. პეტრე (მიქაძე), ამასთანავე საცხოვრებელი ბინა ერთი გვექონდა; როდესაც შინ

დავბრუნდებოდით, ვსაუბრობდით არსებულ ხელისუფლებაზე და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

პეტრე ყოველთვის მარწმუნებდა და მაჯერებდა მენშევიკების ბატონობის სიყალბეში და მეც ჩემი მხრით გამოვთქვამდი რწმენას, რომ ერთადერთი ხსნა კომუნისტურ რევოლუციაში იქნებოდა.


რაც დრო გადიოდა, ამხ. პეტრე თანდათან მითრევდა ამ საკითხებში და ერთ მშვენიერ დღეს, დარწმუნებული ჩემს ნამდვილ მუშურ გულახდილობაში, გამანდოაზრი არაღმართობის სტამბის მოწყობის შესახებ.

მე, რასაკვირველია, სრულიად არ ვიცოდი, თუ ამხ. პეტრე კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ამიტომ გამიკვირდა მისი აზრი არაღმართობის სტამბის მოწყობის შესახებ. გავიგე თუ არა, რომ ის იმ პარტიის წევრი იყო, რომელიც რუსეთში უკვე პროლეტარიატის დაქტატურას ანხორციელებდა, არაფერი არ მითქვამს და დაუყოვნებლივ დავთანხმდი დავხმარებოდი მას ყოველგვარად.

—შენ, ამხ. შალვა, ახალგაზრდა ხარ და დიდი გამოცდილება არ გაქვს, მაგრამ დამიჯერე და ამისრულე ის, რაც დაგვალო, და მაშინ ნახავ, რა დიდ საქმეს ვავაკეთებთ მშრომელი ხალხისთვის.

—კარგი, დავხმარები, რითაც კი შემიძლია,—პასუხს ვაძლევდი მე. პეტრე ისევ არ მანებებდა თავს და მიხსნიდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და რა შეიძლებოდა ვაკეთებულყო არაღმართობის სტამბის საშეაღებით.

—მაშ, იძლევი ნამდვილ მუშურ სიტყვას, რომ ამ საქმეში დამეხმარები?



— გაძლევ ნამდვილ სიტყვას,— ვუთხარი მე.

ჯერ ხელი ჩამომართვა, მერე მომხვია ხელი და წამიყვანა უფრო მყუდრო ადგილას— დაწვრილებით მოსალაპარაკებლად, თუ რანაირად უნდა მოექცეულიყავით.

— პირველ ყოვლისა საჭიროა დიდი სიფრთხილე; გახსოვდეს, რომ საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებ! სხვას კი ყველაფერს მოვახერხებთ,— მეუბნებოდა იგი. მეც ვარწმუნებდი, რომ ფრთხილად ვიქნებოდით და ამრიგად შევუდექით სტამბის მოწყობის საქმეს. ხელს გვიწყობდა ამ საქმეში ის გარემოებაც, რომ მუშაობა ღამით გვიხდებოდა და, მაშასადამე, შესაძლებლობა გვექნებოდა გადაგვეტანა ასობის ყუთი.

ეს მართლაც ასე მოხდა. ერთ საღამოს მოვახერხებთ და მუშაობის დამთავრების შემდეგ თან წავიღეთ ასობის ყუთი.

როცა დავითის ქუჩის ერთ-ერთ მოსახვევთან მივედი, წინ ვილაღ კაცი შემოგვხვდა; სიბნელე იყო და ის ძლიერ დაგვატყერდა. იგი ნაცნობი მილიციელი გამოდგა, მაგრამ მაინც შეგვეკითხა, თუ რა მიგვქონდა. მის შეკითხვაზე მე დავიბენი, მაგრამ პასუხი პეტრემ გასცა სასწრაფოდ.

— ეჰ, ძმაო, ხომ იცი ჩვენი მუშაობის საქმე! რამდენი ხანია ერთ ამხანაგთან სარკე მქონდა მიბარებული

და წამოღება ღღემდე ვერ მოვახერხე, მაგრამ მოგვეცა ცი, ისეთი ცუდი წამოსაღებია.

ხიფათს გადავრჩით. ყუთი მივიტანეთ ბინაზე და საიმედო ადგილას დავმალეთ, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როცა სამუშაოზე მივიღოდი, წინ ისევ ნაცნობი მილიციელი შემოგვხვდა და გვეკითხა:

— ამხანაგებო, შემთხვევით ხომ არ იცნობთ პეტრე მიქაძეს?

მე შეშინებულმა გადავხედე პეტრეს, მაგრამ მან თამამად უპასუხა:

— რა ვიცი, ძმაო, რამდენი პეტრეა ამ ქვეყანად.

და ჩვენ სწრაფად გავცილდით მას.

იმ ღამეს პეტრე შინ არ დაბრუნებულა. მივხვდით, რომ დაბეზლებულები ვიყავით. ასობი სხვა ბინაზე გადავიტანეთ ღამით და ამრიგად ისევ შევუდექით სტამბის მოწყობას. ცოტა ხნის შემდეგ სტამბა ავამუშავეთ კიდევ. ვბეჭდავდით ყველაფერს, რაც საჭირო და აუცილებელი იყო.

ასე მოვაწყეთ ორმა კაცმა ფარული სტამბა და დიხანს ვმუშაობდით იქ ფარულად.

შალვა ესებუა.

საკავშირო კომუნათა შაპრაზის შესახებ.

ახლად დამთავრებულმა ნორჩ პიონერთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმმა, რომელიც იყო მოწვეული ქ. მოსკოვში, განიხილა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ეხება ჩვენი ორგანიზაციის მომავალ განვითარებას და გამოცოცხლებას.

იმ მიზნით, რომ მიქცეულ იქნას საზოგადოების ყურადღება პიონერ-მოძრაობის საკითხებისადმი, პიონერთა ცოდნის გადასინჯვის და ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერების მიზნით ნორჩ პიონერთა ც. ბიუროს პლენუმმა გადასწყვიტა მომავალი წლის ზაფხულში (1929 წ. 1 აგვისტოს) მოიწვიოს საკავშირო პიონერ-რგოლების შეკრება 1.000 პიონერის რაოდენობით წითელ დედაქალაქ მოსკოვში.

საკავშირო შეკრებამ ჯამი უნდა გაუკეთოს პიონერთა საქმეს შემდეგ დარგში: საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა სკოლაში, ოჯახში, სოფლად, წარმოებაში; მუშაობა შეუკავშირებელ ბავშვთა შორის, მოედნებზე, საბავშო სახლებში და სხვა, შრომის, ტენიკის და თავისუფალი დროის გამოყენების დარგში, ფიზკულტურის და გასამხიროების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გამოფენებს, პიონერთა ნამუშევარს, თვითშემოქმედების ნაყოფს, შეჯიბრს ფიზკულტურაში და სროლაში, მთელი შეკრების კოლექტიურ შრომითს მუშაობას, ექსკურსიას და საქმიანი თათბირების ჩატარებას სხვადასხვა დარგში.

ამასთან ერთად შეკრება მიიღებს განსაკუთრებულ მხატვრულ ფორმებს, მოეწყობა შეჯიბრი მასიურ თამაშობებში და პრაქტიკულ მუშაობაში, რაშიც შევა თვით მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებაც.

შეკრება უნდა იქნას სამაგალითო თავისი წესრიგით და შეკავშირებით. იმ მიზნით, რომ მან მიიპყროს პიონერთა მასის მთელი ყურადღება, ადგილებზე უნდა ჩატარდეს საქალაქო, სამაზრო და სათემო შეკრებები.

საქალაქო და სამაზრო ბიუროები აწესებენ, თუ პიონერთა რა დარგის ნამუშევარი უნდა წარადგინოს (საქალაქო ან სამაზრო) დელეგაციამ საკავშირო შეკრებაზე და მასთან აწესებენ დროს ასეთების შესაქრებად ადგილებზე.

ადგილების განაწილება სამაზრო შეკრებებზე ხდება; შეკრებაზე უნდა გამოცხადდენ დელეგატები, რომლებიც წარადგენენ საუკეთესო ნამუშევარს, რომელიც მოეპოვება აღნიშნულ ორგანიზაციას. დელეგატთა რიცხვში უნდა შედიოდეს ერთი პიონერი მაინც, რომელიც კარგად იცნობს იმას, რაც იქნება წარდგენილი საკავშირო შეკრებაზე.

ამის შემდეგ სამაზრო და საქალაქო ბიუროები აგზავნიან დამუშავებულ მასალებს, ადგილების განაწილების ზედდართვით.

აღნიშნულ მუშაობაში უნდა იქნას ჩაბმული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალები (შენობის და თანხების გამონახვა); საჭიროა აღნიშნული მუშაობის მსვლელობის გაშუქება ადგილობრივ კედლის და ბექდვით გაზეთებში; პიონერ კოლექტივები, რომლებიც მიიღებენ ადგილებს, ადგილობრივ შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად აწარმოებენ წინასწარ მზადებას, იმ დავალებების მიხედვით, რომელიც მისცეს მ.თ. საქალაქო ან სათემო ბიუროებმა. ისინი აწესებენ, პიონერთა ნამუშევრების რა მომენტებით უნდა წარსდგინ შეკრებაზე. ამის შემდეგ ადგილობრივი ორგანიზაციები უმართავენ საზეიმო გაცილებას არჩეულ პიონერთ აღნიშნულ შეკრებებზე. დელეგატების გასტუმრება უნდა იქნას ადგილებზე ჩატარებული მხატვრულ და საზეიმო ფორმებში (სალამოების მოწყობით, კოლექტივების გამოსვლით, სადგურზე საზეიმო გაცილებით და სხვა.)

მთელი მზადება შეკრებისთვის მასიური უნდა იყოს. საჭიროა პიონერებმა კოლექტივების შეკრებებზე იმსჯელონ და მისცენ სათანადო „ნაკაზი“ არჩეულ დელეგატებს. თავის მხრივ არჩეულმა დელეგატებმა უნდა დაპყონ სათანადო ხანი იმ კოლექტივებში, რომელშიც ორგანიზაცია მიაგლინებს მათ მუშაობის გასაცნობად.

მოსამზადებელი მუშაობა ისე უნდა ჩატარდეს, რომ არ უნდა დარჩეს არც ერთი პიონერი, არც ერთი ბავში, რომელმაც არ იცოდეს შეკრების შესახებ, რომელსაც ატარებს ესა თუ ის ორგანიზაცია. არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლექტივი, რომელსაც არ მიეღოს მონაწილეობა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაში (ექსპონატების დამზადება, თანხების შეკრება და სხ.)

მაშ, ყველა ერთად ვემზადოთ შეკრებისათვის.

ს ა ნ ი მ უ შ ო კ რ ო ვ რ ა ვ ა

იმ მუშაობის, რომელიც შეიძლება ჩატარებულ იქნას თვითეული კოლექტივის მიერ სადემონსტრაციოდ საქალაქო ან სარაიონო შეკრების დროს.

მუშაობა უნდა მოხდეს ყველა დარგში და მან უნდა გამოხატოს წრეების და კოლექტივების მუშაობა.

თვითეულ კოლექტივს შეუძლია შეკრების დროს აჩვენოს შემდეგი თავისი მიღწევები:

- ა) კედლის გაზეთი,
- ბ) სიმებიანი ორკესტრი,
- გ) გუნდების გამოსვლა,
- დ) დრამ-წრეების მიღწევანი,
- ე) ტიკინების თეატრი, აჩრდილების თეატრი, „პეტრუშკა“.
- ვ) წამომწყებთა ჯგუფების მუშაობა (სალამოების მოწყობა: სიცილის, თამაშობის და სხვ.)



- ზ) მოცეკვავეთა შეჯიბრი,
- თ) კარნავალები, სადღესასწაულო სვლა, სეირნობა,
- ი) ბავშთა შემოქმედების გამოფენა (მხატვრობა, პლაკატები, ფიზ-კულტურა, მოზაიკა, აპლიკაცია, კედლის გაზეთების სამხატვრო გაფორმება, ლექსთა ალბომები, მოთხრობები, სიმღერები და სხვა).

კ) გამოფენები დასვენების შესახებ, ფოტოგრაფია, დიაგრამები, მასალები, ამონაჭერი გაზეთები და სხვა (როგორც საერთო გამოფენის ნაწილი).

ლ) ჭადრაკისა და შაშკების ტრუნირები, შეჯიბრებები თამაშობაში და სხვა. მუშაობა დასვენების დარგში უნდა მიმდინარეობდეს სხვა მუშაობასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებლად.

ტენნიკაში მიღწევების გადათვლიერებასთან ერთად უნდა მოეწყოს აგრეთვე სხვადასხვა ჯგუფების გამოსვლა (ტენნიკის საღამო. ელექტრო-საღამო). დრამ-წრეს შეუძლია დადგას სათანადო წარმოდგენა. დასვენების დროს წამომწყებნი აწყობენ თამაშობას, იგონებენ კოლექტიურ წამოძახილებს და სხვა.

იმ ადგილებში, სადაც ხდება შეკრება, ადგილობრივ კოლექტივები აწყობენ სადღესასწაულო სვლას ჩირაღდნებით, სხვადასხვა თამაშს და სხვა.

ის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ მოაწყონ თავიანთი მიღწევების ჩვენება შრომისა და ტენნიკის დარგში, მიზნად ისხავენ აჩვენონ, რომ მთავალი მშენებლები (ტენნიკოსები, ინჟინრები) უმთავრესად გამოიზრდებიან პიონერთა კოლექტივებიდან. თვითეული ჩვევის (თვითეული მოდელის) ჩვენება დაარწმუნებს და გაიტაცებს სხვა პიონერებს იმით, რომ ყველაფერი ეს არ არის მარტო უბრალო სათამაშოები, რომლის გაკეთების შემდეგ მეორე დღესვე დაივიწყებ მას, არამედ ეს არის ყველაზე უფრო საჭირო და სამზადისი სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებელთათვის.

სასურველია ტენნიკაში გამოიხატოს ადგილობრივი მრეწველობა, პიონერთა ნამუშევარი ნაჩვენები უნდა იქნას იმ ტენნიკური საგნებით, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ რაიონისათვის.

თვითეულ ნიმუშს, რომელიც თან წაღებული იქნება დელეგატების მიერ, უნდა ჰქონდეს პატარა ცნობა თანდართული:

- ა) ვინ გააკეთა მოდელი,
 - ბ) რამდენი ხანი მოუწია მის გაკეთებას,
 - გ) რა მასალაა აღებული მის გასაკეთებლად.
- დამზადებული უნდა იქნას მთელი რიგი ისეთ ნიმუშებისა, რომელთა შეკრება შესაძლებელი გახდება მაყუბლის თვალწინ.

გ. ა—ძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოგვწერეთ თქვენი აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ და ყოველგვარი გაუგებარი საკითხის შესახებ მიიღებთ სათანადო განმარტებას. პიონერული საღამოთ—ჟურნალ „პიონერის,, რედაქცია.

ბაგოღვპეპა

მე-8 შრომის სკოლის 6³ ჯგუფის მოწაფეები ვიწერთ ჟურნალ „პიონერს“ და ვიწვევთ ჩვენზე სკოლის შემდეგ ჯგუფებს:

5¹, 5², 5³, 6¹, 7¹, 7², 7³, 7⁴ და მე-2 შრომის სკოლის 6 ჯგუფის მოწაფეებს.

ჯგუფის მინდობილობით	}	კონგაძე ტატინა რუსიშვილი ლევან ხვედელიძე ოლეა
---------------------	---	---

მე-8 შრომის სკოლის 6² ჯგუფის მოწაფეები ვიწერთ ხუთ ცალ „პიონერს“ და ვიწვევთ ამავე 6¹ და 6³ ჯგუფის მოწაფეებს. აგრეთვე მე-2, 1, 14 და 15 შრომის სკოლების მე-6 ჯგუფის მოწაფეებს.

მე-8 შრომის სკოლის 6 ² ჯგუფის მოწაფეების დავალებით	}	ჩხეიძე ნელი მარდალეიშვილი ბაგრატიონი ელენე გიორგობიანი ელენე
--	---	---

ვიწერ ჟურნალ „პიონერს“ და ამავე შინით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ჩარკვიანს, ალექსანდრე არუთინოვს, ნიკოლოზ მახვილაძეს, არჩილ მესხიძეს, გიორგი მადლაკელიძეს, ნინო სტურუას, მარიამ სვილანოვას, ირაკლი ქავთარაძეს, დავით გიორგობიანს და ქეთო ბაიძეს.

გიორგი ჯაფი.



გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ უ უ რ ნ ა ლ ი ←

მოზრდილთათვის **პიონერი** წაღიწადი III

უურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ღენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

== პიონერი ==

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

უურნალი ღირს გადაგზავნით.

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მაპ. 50 კან.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელებამი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „კომუნისტური“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლაგია.